სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N19 (9199) 12 ივლისი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

ყოველ ნალოქისაგან მიყენებული ხიანის აღმოფხვრა გრძელდება

3

სტიქიამ ძირითადად ბაღჩეული კულტურები გაანადგურა

ვნებათაღელვა...

2

თანხმობა გამგებელს რიგგარეშე სხდომიდან

"ზოგს დაუტოვეს ოქრო და ვეცხლი, ზოგს ჯი ბოჰჯილად პატიოსნება"

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სესიას საქართველომ უმასპინძლა

4

9

უმაგი თოდუა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორია

ვნებათაღელვა...

ლევან გაბეჩავა

4 ივლისს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომას, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა, ვნებათაღელვის გარეშე არ ჩაუვლია.

პოზიცია-ოპოზიცია ერთმანეთს და ორივე ერთად შესაბამისი ააიპ-ის ხელმძღვანელს მაშინ შეესიტყვნენ, როცა საკრებულო მეათე საკითხზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების" 2016 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 18 მარტის №44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მსჯელობდა.

ბატონი ემზარ შუბლაძის თქმით, გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებაში ჩნდება ისეთი შტატები, ურომლისოდაც რომ არაფერი დაშავდებოდა.

ადმინისტრაციული ხარჯები თანამშრომელთა სარგოებზე, ხელფასებზე აისახება უარყოფითადო, დასძინა მან.

ბატონმა მამუკა ბიბილეიშვილმა კი იკითხა, თუ რა ფუნქციას (შე)ასრულებს ააიპ-ის დირექტორის მოადგილე.

ააიპ-ების ხელმძღვანელებს სერიოზული ხელფასები უნდა ჰქონდეთ, მაგრამ არა ერთსა და ორს, მაგალითად, საცხენოსნო კლუბის დირექტორს ძალზე დაბალი ხელფასი აქვს. _ მიმართა კოლეგებს ბატონმა ავთანდილ სტურუამ.

ბოლოს და ბოლოს უნდა დამთავრდეს ადამიანების პარტიული დაპირისპირება, ეს სამსახური გაერთიანების შემდეგ მძლავრად მუშაობს, მაგრამ თუ ისე ხდება, რაც აქ ითქვა, მე მსგავს ფაქტებს აშკარად ვემიჯნები. _ აღნიშნა თავის კომენტარში ბატონმა იმედა გოგავამ და სანერგე მეურნეობის შექმნის მიმდინარეობის პროცესით მისი დაინტერესება დააფიქსირა.

კოლეგებს მეტი კოლეგიალურობისკენ მოუწოდა ბატონმა ზაზა ადეიშვილმა და საჭირო დროს სწორადვე აღნიშნა, რომ აუცილებელია, სიტყვები ავწონ-დავწონოთ ერთმანეთთან მიმართებაშიო.

ააიპ-ის ხელმძღვანელი ბატონი ელგუჯა კალაძე საკრებულოს ყველა იმ საკითხის კანონისა და წესის მიხედვით გაიწერა, ეს ეხებოდა ბიბილეიშვილს, ბატონ ბაბუ ბაბუნაშვილს, ბატონ ბაბა ბაბუნაშვილს, ბატონ ბაბა ბაბუნაშვილს, ბატონ ბაბა

ყხვი ნალექისაგან მიყენებული ხიანის აღმოფხვრა გრძელდება

ნათია ნაცვლიშვილი

3 ივლისს, გვიან ღამით, ჩვენი მუნიციპალიტეტის გალმა ზონის სოფლებში გომში, დაფნარში, ჭოგნარსა და ნიგორზღვაში უხვმა ნალექმა მოსახლეობას სერიოზული ზიანი მიაყენა. გომსა და დაფნარში სანიაღვრე არხები გაიჭედა, დაიტბორა მოსახლეობა, წყლის დონე საცხოვრებელი სახლის ჭიშვრებს გაუტოლდა. სოფელ დაფნარში წყალმა ნარჩენებით ამოავსო ჭკუასელების ბოგირი, საიდანაც წამოსული ნიაღვარი ნოდარ ჩაჩუას ოჯახში შევარდა და დიდ ფართობზე გაშლილი საზამთროსა და ნესვის პლანტაციები დატბორა. სოფლებში ნიგორზღვასა და ჭოგნარში კი ნიაღვარმა გზები წალეკა. შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად და მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ მაშინვე დაიწყო სამუშაოები. ადგილზე გამოცხადნენ გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია, გამგებლის წარმომადგენლები გომისა და საჯავახოს თემში, სპეციალისტები. სამუშაოების შესრულებაში ჩაერთვნენ: კომუნალური სამსახური, ფირმა "ლატექსი" და "ევროტექნიქსი".

გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ, მისმა მოადგილე მამუკა თავაძემ, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, ზურაბ გოგიამ, საკრებულოს წევრმა, გომის თემის მაჟორიტარმა, დავით ამაღლობელმა, გამგებლის წარმომადგენელმა გომის თემში, ზაზა ნიკოლეიშვილმა და სპეციალისტმა ჯონი თევზაძემ შესრულებული სამუშაოები დაათვალიერეს, შეხვდნენ მოსახლეობას, მოისმინეს მათი აზრი. ნოდარ ჩაჩუამ მათგან თანადგომა ითხოვა. რევაზ გიორგაძემ დაბლა გომში, ქოსნატის უბანზე გვითხრა, რომ ღამით სტიქიურად მოვარდა წყალი, ხელისუფლება კი დროულად გამოცხადდა ხალხთან და პრობლემაც მალე აღმოიფხვრა.

ვალერიანე ფოცხვერია: "დაბლა გომში, გომსა და დაფნარში უხვი ნალექის გამო სანიაღვრე არხები აივსო, გაიჭედა ბოგირი და რამდენიმე ოჯახი დაიტბორა. მაშინვე გამოვედით, ჩვენთან ერთად იყო სამაშველო სამსახური, 3-4 ოჯახში წელამდე წყალი იდგა, ოპერატიულად გამოვიძახეთ შესაბამისი სამსახურები, დროულად მოვახდინეთ პრობლემის ლიკვიდაცია. კომუნალურ სამსახურთან ერთად მეორე დღეს სამუშაოები აწარმოა ფირმა "ლატექსმა", ტერიტორიაც ამ ორგანიზაციამ გაწმინდა, ის ტენდერში გამარჯვებული კომპანიაა, კომპანია "სოკარის" ტექნიკაც მუშაობდა. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. კომუნალური სამსახურის ექსკავატორი მწყობრიდან გამოვიდა მუშაობის დროს, როგორც კი შეკეთდება, მაშინვე გავაგრძელებთ დარჩენილ სამუშაოებს".

ჩვენს კითხვაზე, რამდენად შესძლებს ადგილობრივი ხელისუფლება ნოდარ ჩაჩუასთვის დახმარების გაწევას, გამგებელი პასუხობს, რომ საკითხის შესასწავლად გამოიყოფა სპეციალისტთა ჯგუფი, ზარალი დადგინდება, და შესაბამისი რეაგირება არ დაყოვნდება. პრობლემას ის ქმნის, რომ მოსახლეობას მოსავალი არ აქვს დაზღვეული და ჯერ კიდევ ვერ თუ არ სარგებლობენ აგროდაზღვევის სიკეთით.

3 ივლისს, ღამით, გამგებლის წარმომადგენელი საჯავახოს თემში შავლეგ თარგამაძეც მოსახლეობასთან ერთად ქუჩაში იყო გამოსული, ხელისუფლების წარმომადგენელთა ჭოგნარში მოსვლის დროს ის და სპეციალისტი თამაზ მიქაშავიძე "ევროტექნიქსის" წარმომადგენლების მუშაობის პროცესს ადევნებდნენ თვალს. შავლეგ თარგამაძე:

"ღამის 4 საათზე მთელი სოფლის მოსახლეობა გამოვედით გარეთ, მაგრამ ვერ გავუმკლავდით სტიქიას, ნიაღვარმა წალეკა გზები, ზოგ ადგილას გაზის მილებიც მცირედ დაზიანდა, მადლობა "სოკარ-გაზს, რომ ამ კომპანიის წარმომადგენლებმა დროულად, ძალიან სწრაფად მოახდინეს პრობლემის აღმოფხვრა. ასევე მინდა მადლობა ვუთხრა "ევროტექნიქსს", რომელიც მთლიანად თემში _ საჯავახოში, ნიგორზღვასა და ჭოგნარში ახორციელებს გზების მოხრეშვას, დაგრეიდერების სამუშაოებს. ეს არის ქუთაისური კომპანია, რომელიც ტენდერშია გამარჯვებული, მათ იმ სამუშაოების გარდა, რაც იყო გათვალისწინებული ბევრი სხვა სამუშაოც შეასრულეს".

სტიქიამ ძირითადად ბაღჩეული კულტურები გაანადგურა

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენი მუნიციპალიტეტი ბოლო დღეებში მოსულმა უხვმა ნალექმა მეტად დააზარალა. ორშაბათის გამგეობის ტრადიციულ თათბირზე პრობლემათა მთელი ბუკეტი შეიკრა. გამგებლის წარმომადგენელი ღანირის თემში, თამაზ გაბელაია ის ნათელი გამონაკლისი იყო, რომელმაც განაცხადა, რომ ღანირის მოსახლეობას სტიქიის გამო ზარალი არ უნახავს. 24 საათიან რეჟიმში მუშაობს საგანგებო შტაბი მუნიციპალიტეტის გამგებლის, ვალერიანე ფოცხვერიას ხელმძღვანელობით, შეიქმნა ზარალის დამთვლელი კომისია. ვიდრე გამგებლის წარმომადგენლები დეტალურად ისაუბრებდნენ სხვადასხვა სოფლებში უხვი ნალექის შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, მამუკა თავაძემ განაცხადა: "ყველაზე მძიმე მდგომარეობა გომის თემშია, შემდეგ მოდის საჯავახო, ასევე, ბაში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებმა მიიღო ძირითადი დარტყმა, გომის თემში ჩამოწვა მეწყერი რამდენიმე უბანზე, მათ შორის რუსიების უბანზე, ყველგან გავიყვანეთ ტექნიკა, რომელმაც უწყვეტ რეჟიმში იმუშავა, რაც მთავარია, მძიმე შედეგები თავიდან ავიცილეთ, მაგრამ ბევრ ადგილას დაზიანდა გზები, ხიდები, არხები, მოსახლეობაში შევიდა წყალი, დაიტბორა ეზოები, მაგრამ არა სახლები. დავსახეთ გეგმა, დეფექტური აქტები მზადდება და ზარალის შეფასება მიმდინარეობს. სოფლებში აუცილებლად საჭიროა, ზუსტად შევისწავლოთ, რამდენ ჰექტარზე ნაკვეთების რა რაოდენობა გაანადგურა სტიქიამ, წყლის დონემ უნდა დაიწიოს, რომ ზუსტი შესწავლა მოხდეს. შემდეგ მივმართავთ ინფრასტრუქტურის სამინისტროს და შესაბამის უწყებებს".

მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი, ზურაბ გოგია: "გომში მდინარე კაპიტონამ წაიღო ხიდი, ინფრასტრუქტურის სამინისტროში უამრავი წერილი გავგზავნე რუსიების საკითხთან დაკავშირებით, მოგეხსენებათ, მდინარე ხევისწყალამ, ტოლების თემში, სოფელ ვაზისუბანში მეტად დააზარალა ეს ოჯახი. ასევე, ორი საბორნე გადასასვლელი არის დაზიანებული, დღეის მდგომარეობით ეს ბორნები ჩაფლულია შლამში. საჭიროა მათი ამოღება".

ე. წ. ძველი სამტრედიის დაზიანებული საბორნე გადასასვლელის საკითხის შესასწავლად ადგილზე იმყოფებოდა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ქალაქ სამტრედიაში, თენგიზ ცაგურია. მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს, მამუკა თავაძეს თათბირის დასრულების შემდეგ უშუალოდ მოუწია გასაუბრება დახმარების სათხოვნელად მოსულ ძველ სამტრედიაში მცხოვრებ მოქალაქეებთან, რომლებიც საბორნე გადასასვლელით სარგებლობენ. 75 წლის ლიანა გელეიშვილმა მამუკა თავაძეს მიმართა: "სულ რამდენიმე დღის წინ მოსახლეობამ ჩვენი ხარჯით მოვახდინეთ ამ საბორნე გადასასვლელის გარემონტება, 80 ლარი გადავიხადეთ თითოეულმა ოჯახმა, მხოლოდ ფიცრის დაგება იყო დარჩენილი, რომ სტიქიამ ტროსი გაწყვიტა და ადგილზევე ჩაეფლო. ჩვენი ძალებით ტროსი ამოვიღეთ, მაგრამ შემდგომი სამუშაოების შესრულებას ვერ ვარხერხებთ და თანადგომისთვის მოგმართეთ".

გამგებლის მოადგილე მოქალაქეებს დაჰპირდა, რომ უახლოეს დღეებში მაქსიმუმს გააკეთებენ მათი პრობლემის მოსაგვარებლად. დაიმედებულნი წავიდნენ მოქალაქეები.

გამგებლის წარმომადგენელმა დიდ ჯიხაიშში ნუგზარ ნუცუბიძემ განაცხადა, რომ წვიმამ მოსახლეობას გაუნადგურა 10 ჰექტარზე გაშენებული ნესვის და საზამთროს კულტურა, მისივე თქმით, ყაზბეგის უბანში 40 ჰექტრამდე საყანე ფართობთან მისასვლელი ბოგირი ჩაინგრა, რამაც მოსახლეობა თავიანთ საყანე ფართობებს მოსწყვიტა და ხალხი დახმარებას ითხოვს. "ყველაზე მძიმე მდგომარეობა ჩვენთანაა, 92 მცხოვრებს 70 ჰექტარზე გაშენებული ბაღჩეული კულტურები _ ნესვი და საზამთრო გაუნადგურა. რაც შეეხება საყანე ფართობებს, 100 ჰექტარზე მეტია". _ განაცხადა გამგებლის წარმომადგენელმა გომის თემში, ზაზა ნიკოლეიშვილმა. გამგებლის წარმომადგენლების თქმით, ვერცერთი მათგანი ვერ აძლევს დაზარალებულ მოქალაქეებს იმედს, რომ ზარალი აუნაზღაურდებათ, რადგან ჩვენი გლეხებისათვის აგროდაზღვევის სიკეთე ჯერ კიდევ მიუწვდომელია. გაირკვა, რომ აბსოლუტურად არც ერთ დაზარალებულს მოსავალი დაზღვეული არა აქვს.

მამუკა თავაძემ განაცხადა: "2 წელია განვუმარტავთ მოსახლეობას ამ დაზღვევის სიკეთეს, 1 ჰექტარზე 20 000 ლარი რომ ჰქონდა თხილის ბიზნესში ჩადებული, 170 ლარი უჯდებოდა მისი დაზღვევა, უნდა ავუხსნათ უფრო კარგად მათ ამ დაზღვევის შესახებ".

მას იქვე უპასუხეს, რომ ამ სერვისით უსახსრობის გამო ვერ სარგებლობს გლეხი. "10 ტომარა სასუქი ნისიად გამოვიტანე, რა მეშველება, ვფიქრობდი, მოსავალს ავიღებ და ამ სასუქის ვალს იმით გადავიხდიდი, სად წავიღოო, თავში ირტყამდა ხელს ერთ-ერთი მოქალაქე, იობაძე". _ განაცხადა ზაზა ნიკოლეიშვილმა.

ნალექმა გზები ჩარეცხა და დაზიანა სოფელ ნიგორზღვაში იმდენად, რომ სასწრაფოც კი ვერ ავიდა სოფელში. სამწუხარო ინფორმაციით დაიწყო გამოსვლა საჯავახოს თემში გამგებლის წარმომადგენელმა, შავლეგ თარგამაძემ, საჯავახოს მკვიდრის, 15 წლის მოზარდის, გიორგი ხაბეიშვილის ტრაგიკული გარდაცვალება ამცნო შეკრებილთ. მისი თქმით, იგი ბენზინგასამართ სადგურთან მანქანამ გაიტანა.

შავლეგ თარგამაძემ ასევე აღნიშნა, რომ ძლიერმა წვიმებმა დაზიანა საჯავახოს წყლის შემკრები აუზის სათავე ნაგებობა, რის შედეგად სასმელი წყალი დაბინძურდა და მოსახლეობას მიეცა გაფრთხილება, გადაუდებლად წყალი არ დალიონ.

ეწრის თემში გამგებლის წარმომადგენელმა, რევაზ ივანიაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა: "35 ჰექტარ სავარგულებს გადაუარა წყალმა, ნეფიჭალაში 15 ჰექტარს, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა ახალსოფლის საბორნე გადასასვლელის ჩაძირვამ შეგვიქმნა, იქ ისეთი მდგომარეობაა, ვერც ტექნიკა მიუახლოვდება და ვეღარც ადამიანი".

სოფელ ბაშში გამგებლის წარმომადგენლის, რამაზ კაშიას ინფორმაციით, ნესვის და საზამთროს კულტურები 60 ჰექტარზე განადგურდა, ბანკის სესხი აქვთ ადამიანებს გამოტანილი და ისე აქვთ მოსავალი დათესილი. არცერთ მათგანს დაზღვევა არ აქვს. მანვე დააყენა მარტოხელა მოქალაქე ცისანა მიმინოშვილის დახმარების საკითხიც, რომლის სახლის პირველი სართული წყალშია და საჭიროა არხის გაწმენდა, სამელიორაციო სამსახური საქმის კურსშია და იმედოვნებენ, რომ არხს გაჭრიან.

ზარალის დამთვლელ კომისიაში ინფრასტრუქტურულ საკითხებს ზურაბ გოგია შეისწავლის და მისი სამსახური, ხოლო, სოფლის მეურნეობის კუთხით რევაზ ივანიაძის ხელმძღვანელობით ცალკე ჯგუფი იმუშავებს.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სესიას საქართველომ უმასპინძლა

ლევან გაბეჩავა

57 ქვეყნის 700-მდე წარმომადგენელი სტუმრობდა ხუთი დღის მანძილზე საქართველოს.

მისასალმებელია, რომ ჩვენმა ქვეყანამ შესანიშნავად გაართვა თავი ესოდენ მაღალი რანგის სტუმართა მასპინძლობას, უზრუნველჰყო სესიის ნორმალური მუშაობა.

როგორც ცნობილია, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს შესახებ რეზოლუცია მიიღო, ამ დოკუმენტის წინააღმდეგი ერთადერთი ქვეყანა _ რუსეთი იყო.

"საერთო ღირებულებები და საერთო ინტერესები, ეს არის რამაც დღევანდელ დღეს სხვადასხვა კონტინენტის წარმომადგენლები გაგვაერთიანა.

მჯერა, რომ ურთიერთანამშრომლობის შედეგად ჩვენ შევძლებთ მშვიდობის უზრუნველყოფას.

ჩვენს ქვეყანაში აღარ იარსებებს გამყოფი ხაზები, ოკუპირებული ტერიტორიები.

არასდროს განხროციელდება ეთნიკური წმენდა.

მოსახლეობა არ იქნება მოკლებული საკუთარ ქვეყანაში თავისუფალი გადაადგილებისა და მშობლიურ ენაზე განათლების უფლებას". _ განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტის სასახლეში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 25-ე სესიის მონაწილეთა წინაშე, როცა ქართველ და უცხოელ სტუმრებს სიტყვით მიმართა.

"ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დადებით შედეგს, მრავალ სიკეთეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა მალე იგრძნობს.

ეს კი იმ სანუკვარი ოცნების ხორცშესხმა იქნება, რისთვისაც ათწლეულების მანძილზე ისწრაფვოდა, ოცნებობდა ჩვენი ერი, სახელოვანი წინაპრები". _ უთხრა "სამრტედიის მაცნეს" მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგარ ჯამბურიამ.

საქართველოსადმი მსოფლიოს ყურადღება არც საპარლამენტო ასამბლეის შემდეგ შენელებულა, ამის მიზეზი კი ჩვენს ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ბატონი ჯონ კერის ვიზიტი იყო.

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთან სტრატეგიულ პარტნიორობას აფართოებს.

ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და ამერიკის სახელმწიფო მდივნამა ჯონ კერიმ მნიშვნელოვან დოკუმენტებს მოაწერეს ხელი.

"მინდა დავადასტურო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც ერთგულია საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის". _ აღნიშნა ბატონმა კერიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან, ბატონ მიხეილ ჯანელიძესთან საუბრისას.

"მოხარული ვარ, რომ დღეს ვატარებთ სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის პლენარულ სხდომას.

ამ სესიისათვის ჩვენ მზად გვაქვს ხელშესახები შედეგები და განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ხელს ვაწერთ თავდაცვისა და უსაფრთხოების, განათლების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ მემორანდუმს". _ ხელმწიფო მდივანთან შეხვედრისას ეს განაცხადა პრემიერმა კვირიკაშვილმა.

მზერა დასავლეთს უნდა მიაპყროთო, ბატომა კერიმ.

საქართველო არა მარტო მზერით, საქმით ადასტურებს სწრაფვას ევროინტეგრაციისაკენ, ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებისაკენ.

ამ მოვლენების შემდეგ პოლონეთში, ვარშავაში ნატოს სამიტი შეიკრიბა, სადაც საქართველოს დელეგაცია, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობდა. ქვეყნის პირველი პირი, როგორც დელეგაციის სხვა წევრები სამიტის შედეგებით კმაყოფილნი არიან, რაც ალიანსის წევრი სახელმწიფოების, თავისთავად ალიანსისაგან საქართველოსადმი კიდევ უფრო მტკიცე მხარდაჭერის სურვილითა და ძალისხმევითაა განპირობებული.

ჰეტრე-პავლეს გილოცავთ!

უდიდეს დღესასწაულად ითვლება პეტრე-პავლობა მართლმადიდებლობაში. დღესასწაული ძველი სტილით 28 ივნისს, ახალით კი, 12 ივლისს აღინიშნება.

წმინდანები ითვლებიან მთავარ მოციქულებად და პირველ მღვდელმთავრებად, ისინი იესო ქრისტეს უახლოესი მოწაფეები იყვნენ, რომელთაც საქადაგებლად გზავნიდნენ ჯერ კიდევ მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების დროს.

მთავარმოციქულებს პეტრესა და პავლეს უდიდესი წვლილი მიუძღვით ხალხში ქრისტიანული რწმენის პოპულარიზაციისა და გაძლიერების საქმეში, ეს კი წმინდანებისადმი, მათი ღვაწლისადმი მართლმადიდებლებს უდიდესი კრძალვით, პატივით, სათნოებითა და სიყვარულით განაწყობს.

12 ივლისს ყველა მოქმედ ტაძარში პეტრე-პავლობის აღსანიშნავად შესაბამისი მღვდელმსახურება შესრულდა.

მეოხ გვეყავით წმინდანებო!

ლევან გაბეჩავა

ცხარე დებატები და...

ლევან გაბეჩავა

1 ივლისი, 15 საათი და 20 წუთი.

საზოგადოება "სამტრედიელის" გამგეობის ღია კრება მუშაობას შეუდგა.

***დღის წესრიგში დასმულ საკითხთა განხილვის შემდეგ, გამგეობის წევრებმა იმ საკითხებზეც გაამახვილეს ყურადღება, რომლებიც საზოგადოების მომავალი საქმიანობის ძირითად მიმართულებებზეა გათვლილი.**

დებატებში, რომელიც ძირითადად ცხარე კამათის ფონზე მიმდინარეობდა, თუმცა, ეთიკის ნორმებს არ გასცდენია, მონაწილეობა სამტრედიელთათვის ცნობილმა სახეებმა, ბატონებმა: თემურ ტორონჯაძემ, თამაზ ჟორდანიამ, ნუგზარ ხაჟალიამ, რაულ ხუჭუამ, ბორის ფოცხვერაშვილმა, კობა მანჯგალაძემ, რევაზ კანდელაკმა, მოგელი კუპრეიშვილმა და სხვებმა მიიღეს.

გამგეობის სხდომას არ ესწრებოდა "სამტრედიელის" თავმჯდომარე, ბატონი თამაზ მურღულაია.

საზოგადოება "სამტრედიელის" გამგეობისა და საერთო კრების გაცილებით ხშირად მოწვევა, მნიშვნელოვან საკითხთა გადაჭრაში გამგეობის წევრთა მეტი ჩართულობა, საზოგადოების მუშაობის უცილობელი გააქტიურება, მისი როლის გაზრდა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაიონისა და სამტრედიელთათვის საჭირბოროტო საკითხთა განხილვა-გადაჭრაში "სამტრედიელის" პოზიციის დაფიქსირება, გამგეობის წევრთა, საზოგადოების დაუკითხავად, აზრის გაუთვალისწინებლად, ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიღების გმობა... გახლდათ გამომსვლელთა საერთო აზრის ლაიტმოტივი.

6 ივლისს ისევ შეიკრიბა საზოგადოება "სამტრედიელის" გამგეობა, სხდომას ამჯერად საზოგადოების თავმჯდომარე, ბატონი თამაზ მურღულაია უძღვებოდა. რიგ საკითხთა ირგვლივ საკუთარი პოზიცია ქალბატონმა მანანა მსხილაძემ, ბატონებმა რაულ ხუჭუამ და ნუგზარ ხაჟალიამ დააფიქსირეს. განიხილეს "სამტრედიელის" შემადგენლობაში ახალი წევრების მიღების საკითხი.

რა გვიჩვენა გამგეობის ღია კრებამ?

პირველ ყოვლისა თვალშისაცემი იყო, რომ გამგეობის წევრებს შორის სამწუხაროდ არ არის თანხმობა რიგ საკითხებზე.

რატომღაც 1 ივლისის კრებაზე სვამდნენ გამგეობის წევრები იმ საკითხებს, "სამტრედიელის" არსებობიდან რამდენიმე წლის შემდეგ, რაც უკვე გადაჭრილი, მოგვარებული უნდა იყოს.

რამ გაგვაოცა?

იმან, რომ გამგეობის კონკრეტული წევრები თითქოს სხვებს მიუთითებდნენ იმ საკითხებზე, რაც არსებობის განვლილ პერიოდში მათივე მონაწილეობით საზოგადოება "სამტრედიელს" უნდა შეესრულებია, მოეგვარებია.

რა იყო აშკარა?

ის, რომ გამგეობაში ძირითადად წარმოდგენილნი არიან ყოფილი პარტიული და საბჭოთა კადრები, საწარმოთა ყოფილი თავკაცები ნაკლებად არიან მანდილოსნები, ახალგაზრდები, რიგითი ადამიანები რომელთაც არასოდეს სჭერიათ ხელმძღვანელი თანამდებობი, ჩვენის აზრით კი, ახალგაზრდული ხედვისა და მამათა თაობის გამოცდილების ერთობლიობა უფრო მეტ შედეგს მოუტანდა საზოგადოება "სამტრედიელსა" და მუნიციპალიტეტს. სამწუხაროა, რომ "სამტრედიელს" არა აქვს წარმომადგენლობები, პირველადი ჯგუფები ისეთ დიდ სოფლებში, დასახლებებში, როგორებიცაა დაბა კულაში, დიდი ჯიხაიში, გომი...

დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ საზოგადოებას არც კონკრეტულ დროში გაწერილი სამუშაო გეგმა გააჩნია და თუ არის, არასრულფასოვანია. ჩვენის აზრით გამგეობის წევრებს შორის არ არის განაწილებული ფუნქციები და ა. შ.

ეჭვი ნამდვილად არ გვეპარება რომ იმ დღეს დარბაზში შეკრებილთაგან ყველას უყვარს სამტრედია, სამტრედიელები, ყველას თავისებურად...

გამგეობის ღია კრება შედგა.

დღის წესრიგი ამოიწურა...

მეტი საჯაროობა, პუნქტუალობა, ობიექტურობა, კოლეგიალობა, ხშირი, საქმიანი შეკრებები, გონივრულად მოფიქრებული საქველმოქმედო აქციები, პატივგების საღამოები, შემეცნებით სანახაობითი ღონისძიებები, ნაკლები ბოღმა, ღვარძლი, ემოციები...

ამ სურვილით დავტოვე დარბაზი ღია კრების დასრულების შემდეგ.

როგორ გააგრძელებს მუშაობას საზოგადოება "სამტრედიელი?"

"ზოგს დაუტოვეს ოქრო და ვერცხლი, ზოგს კი ბორკილად პატიოსნება"

თეა ბაბუნაშვილი

სევდად ქცეული სიხარულის და სიხარულიანი სევდის ზეიმი _ მეთერთმეტე საჯარო სკოლის პედკოლექტივი ასე გამოხატავდა ემოციას განსაკუთრებული სიფაქიზით მორთულ დარბაზში. იმ დღეს სხვა დატვირთვა ჰქონდა, ეს არ იყო ერთი უბრალო შეკრება, თუნდაც, სიყვარულის გამოსახატავად, ეს პასუხისმგებლობა, მოწიწება და პატივისცემა გახლდათ ორი ღირსეული ადამიანის, ორი ქალბატონის, რაიონის ისტორიის გარკვეული წლები საუთარი ღვაწლით რომ დაამშვენეს.

მეთერთმეტე საჯარო, ამ შემთხვევაში უმჯობესია ვთქვათ, ოცდამეოთხე საშუალო, ორ პედაგოგს დაემშვიდობა, მათ, 60 წელი სკოლის მეჭირნახულე, მოამაგე და ჭირისუფალნი რომ იყვნენ. ამიტომაც, ოცდამეოთხე საშუალოს ვერუშას და აზას სკოლადაც იხსენიებდნენ.

დედური მზრუნველობისთვის, კვალიფიციური მასწავლებლობისთვის და სიმკაცრისთვისაც კი, გულწრფელი მადლობის სათქმელად პედკოლექტივი სკოლისა და საკლასო ოთახებისაგან განსხვავებულ გარემოში შეიკრიბა. ცარცთან, დაფასთან, მოსწავლეებთან გატარებული ვინ მოსთვლის რამდენი დღე 60 წლის მანძილზე, იმ საღამოს ერთად გაცოცხლდა, სიყვარულისფერი გახდა. სადღეგრძელო ასწია და... ენამზიანობდა სუფრის თამადა, კიდევ ერთი ყოფილი მოსწავლე მრავალთაგან. 23 კი, ყოფილი მოსწავლეებისგან დარბაზში ისხდა პედაგოგად მშობლიურ სკოლაში დაბრუნებული. ახლაც ფეხზე ვდგებითო, როცა სამასწავლებლოში უკვე კოლეგები, თუმცა შეგნებაში მაინც ვერუშა და აზა მასწავლებლები შემოდიან. ბევრი უთხრეს გულწრფელი და სიყვარულით გამთბარი, ჭეშმარიტი პატივისცემით ამაღლებული. ამ სუფრის თამადაც, ამ პოსტზე ბევრჯერნაცადი, მათი ყოფილი მოსწავლე გახლდათ. ამჯერად სათამადოდ პირადად ვერუშა მასწავლებლმა შეარჩია გივი ღაღანიძე, ადამიანი ვინც სამტრედიასაც კარგად იცნობს და ესმის ვერუშა ვაშაკიძისა და აზა სულავას დამსახურება რაიონის, სკოლის მოსწავლეებისა და კოლეგების წინაშე.

სტუმრები არც ადგილობრივი ხელისუფლებიდან აკლდათ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, გამგებელი ვალერი ფოცხვერია, მისი პირველი მოადგილე დავით ბახტაძე, მოადგილე ლიზა კრავეიშვილი, კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, სამტრედიის წინაშე მათ დამსახურებაზე საუბრობდნენ.

განსაკუთრებული პატივისცემა გამოხატეს მათი მისამართით ადგილობრივი რესურსცენტრის წარმომადგენლებმა, ალექსანდრე თევზაძემ, ელიზა ცხვირავაშვილმა, ლილი ფხაკაძემ და გია აბრამიძემ.

იმ დღეს თითქოს კვლავ მოსწავლეები, ფორმიანი გოგო-ბიჭები იყვნენ მასწავლებლები, ვერუშა და აზა მასწავლებლის დარიგებას "ჭკვიანად იყავით" ისევ რომ ისმენდნენ.

"ზოგს დაუტოვეს ოქრო და ვერცხლი, ზოგს კი ბორკილად პატიოსნება", საკუთარი ინტერპრეტაცია მოარგო მურმან ლებანიძის სიტყვებს თამადამ, როცა ამ ორი ღირსეული ქალბატონის ოჯახსა და შვილებზე გააგრძელა საუბარი. ქალბატონი ვერუშა ხშირად ამბობდა თურმე, ოჯახს შეიძლება უღალატო და სკოლას არაო. თავიდან ექიმობა ჰქონია განზრახული. მოხდა ისე, რომ ისტორიის ფაკულტეტზე შეიტანა საბუთები. მშობლიურ რაიონში დაბრუნებულს კომკავშირის განათლების განყოფილება ჩააბარეს. მერე ქალაქის მეორე საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად გაუშვეს. ამასთანავე, სკოლის მაშინდელმა დირექტორმა ქეთევან სტურუამ მას სასწავლო ნაწილის გამგის პასუხისმგებლობაც ანდო. ვერუშა მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესთან ერთად ორგანიზატორის ან სასწავლო ნაწილის გამგის სირთულეს იდეალურად ართმევდა თავს და რა გასაკვირია, რომ სკოლა, რომელიც თავდაპირველად ამიერ კავკასიის რკინიგზის # 24-ედ, შემდეგ მე-11 საშუალოდ, დღემდე კი მე-11 საჯაროდ მოიხსენიება, ყოველთვის მისაბაძი სკოლების სათავეშია. მეუღლის, ცნობილი ექიმის და კარგი ადამიანის, გიორგი შედანიას დამსახურებაც გახლავთ ვერუშა მასწავლებლის წარმატებები. იგი, როგორც თავად ვერუშა ვაშაკიძე იხსენებს, პირველი მეგობარი და ხელისშემწყობი იყო მისთვის. შვილები შალვა და გოგა იმ დღეს ბავშვობას იხსენებდნენ, მუდამ დაკავებული დედის შვილობას, ენამოსწრებული მამის ხუმრობას ოჯახის დიასახლისის მოუცლელობაზე. უმცროსმა ვაჟმა, გოგამ ისიც გაიხსენა, როგორ დასთმო ოქროს მედალი მისმა უდავო პრეტენდენტმა, იმიტომ, რომ საქმეს ასე სჭირდებოდა და დედას სხვანაირად არ შეეძლო!

ცნობილი ქიმიკოსი, საგნის უბადლო მცოდნე გახლდათ აზა სულავა. ეს დღემდე ასეა! კომუნისტურ ეპოქაში დღევანდელისგან განსხვავებით რეპეტიტორობა აკრძალული იყო. ამან გამოიწვია ის, რომ ყველა ერუშა მასწავლებლის წარმატებები. იგი, როგორც თავად ვერუშა ვაშაკიძე იხსენებს, პირველი მეგობარი და ხელისშემწყობი იყო მისთვის. შვილები შალვა და გოგა იმ დღეს ბავშვობას იხსენებდნენ, მუდამ დაკავებული დედის შვილობას, ენამოსწრებული მამის ხუმრობას ოჯახის დიასახლისის მოუცლელობაზე. უმცროსმა ვაჟმა, გოგამ ისიც გაიხსენა, როგორ დასთმო ოქროს მედალი მისმა უდავო პრეტენდენტმა, იმიტომ, რომ საქმეს ასე სჭირდებოდა და დედას სხვანაირად არ შეეძლო!

ახალგაზრდა, შემდგომში რაიონის სამედიცინო საზოგადოების და არა მარტო მისი, ბირთვი რომ გახდა, აზა მასწავლებლის სახლში დაეუფლა ამ რთული საგნის საიდუმლოს. პატიოსანი, კვალიფიციური ინჟინრის, ელგუჯა ხაჟალიას მეუღლე დიდი ოჯახის დიასახლისი გახლდათ. "დღესაც მიკვირს, როგორ ახერხებდა დედა დატვირთული სასკოლო რეჟიმის, მოსწავლეების პარალელურად, ოჯახს, სადაც სამი თაობა ცხოვრობდა, ყოველთვის ყველაფერი წესრიგში ჰქონოდა." _ იგონებს მისი ვაჟი ზაალ ხაჟალია.

ვერუშა ვაშაკიძე და აზა სულავა, პროფესიამ ერთმანეთს რომ შეაბერა, თანატოლები არიან, ოთხმოცს ორივემ ერთდროულად გადააბიჯა, სკოლაშიც ორივემ 60 წელი ერთნაირად დაჰყო. გასაკვირიც არ არის, რომ საყვარელ ადგილს ერთდროულად გამოემშვიდობნენ. თუმცა, სკოლის დირექტორი, ერთ-ერთი ყოფილი მოსწავლეებიდან, ლენა ხაჟალია, მათ დიდ ბიოგრაფიაზე მოკლედ საუბრის შემდეგ აღნიშნავდა: "ეს ადამიანები იმსახურებენ ჩვენს სიყვარულს, პატივისცემას, მოკრძალებას. მათი გაცილების იდეა რომ გავაჟღერე, სკოლის ყველა პედაგოგი, განა მარტო ის 23, მათი მოსწავლე ვინც ვიყავით, ერთნაირი აზარტით ამყვა. ამ პედაგოგებმა იმდენი ცოდნა და გამოცდილება დააგროვეს, რომ ჩვენ მათ ვერ შეველევით, ჩვენი თანამშრომლობა კვლავ გაგრძელდება, ისინიც გვესტუმრებიან დროდადრო და არც ჩვენ მოვანატრებთ თავს."

თაიგულები, ღიმილი, სიყვარული სევდის საბურველს მაინც ვერ იცილებდა. ღირსეულები ღირსების სავარძელზე ჯდომით, მომავალ თაობას და უკვე პედაგოგებად დახელოვნებულ ყოფილ მოსწავლეებს კვლავ გაკვეთილს უტარებდნენ, ისე იცხოვრეთ, ჩვენს შემდეგ ეს ადგილი თითოეულმა თქვენგანმა დაიკავოსო. სხვანაირად არც ხდება, მაგრამ იმ სუფრასთან განსაკუთრებული მოწიწებით ითქვა გარდაცვლილების მოსაგონარი. აქვე ისიც, რომ ამაგის დაფასება კარიერის მიწურულში ყველაზე დიდი ბედნიერებაა ადამიანისთვის. ჩვენს პრაგმატულ დღევანდელობაში ამგვარი გაცილება ამაგდარი მუშაკებისა არც ერთ სფეროში, მათ შორის არც სასწავლო დაწესებულებებშია "მიღებული." მეტიც, ეს პირველი შემთხვევა გახლდათ პედაგოგებზე სახალხოდ ნათქვამი მადლობისა. იმედია, მე-11 საჯარო სკოლას ამაშიც ბევრი მიმდევარი გამოუჩნდება!

იმ საღამოზე ყველაფერი გაიხსენეს ზოგჯერ განსაკუთრებით მკაცრი, ზოგჯერ კი ზედმეტად მზრუნველი პედაგოგების სასკოლო ცხოვრებიდან. მალე ისევ ააჟღარუნებს სექტემბერი სკოლის ზარს. საკლასო ოთახები ბევრ გაკვეთილს ჩაატარებენ. ორი მასწავლებელი, ვერუშა ვაშაკიძე და აზა სულავა მაგალითის მიმცემად დიდხანს დასჭირდებათ, მათ დასავიწყებლად ვერ გაიმეტებენ ვერუშასა და აზას სკოლაში! და ეს არა მხოლოდ პროფესიონალიზმის გამო, იმიტომაც, რომ მათი ბორკილი ყველაფერთან ერთად პატიოსნებაც იყო!

შეფასება _ ბრავო!

თეა ბაბუნაშვილი

ყველა კონცერტის შეფასებად დიდი ოვაცია და აღიარება _ სამტრედიის სამუსიკო სკოლისგან ნაკლებს არც ველოდით! იმ საზაფხულო კონცერტების სერიაზე უნდა ვისაუბროთ, სასწავლო წლის ბოლოს დომენტი შანიძის სახელობის პირველმა სამუსიკო სკოლამ რომ გამართა. მეშვიდეკლასელთა საანგარიშო კონცერტის შემდეგ კიდევ სამი გაიმართა, საპასუხისმგებლო და პროფესიონალურად დატვირთული, აგრეთვე, პროფესიონალი პუბლიკისა და შემსრულებლების გვერდით.

არა მხოლოდ უფროსკლასელები, პირველიდან მეშვიდემდე ყველა კლასის, თითქმის ყველა პედაგოგის მოსწავლე ასაკისთვის რთული მუსიკალური ნომრების შესრულებით აღაფრთოვანებდა მსმენელს.

სკოლის აღსაზრდელებთან და პედაგოგებთან ერთად ჩვენი გაზეთი თავდაპირველად მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელს ეწვია საკონცერტო სანახაობით. სასწავლებლის დარბაზი, სადაც ამ სკოლის არაერთი პედაგოგი დაუფლებია პროფესიას, ამჯერად პატარა ვირტუოზებს დაეთმო. ტერმინი ''ვირტუოზები'' შემთხვევით არ გვითქვამს, ამგვარი შეფასება მათ დამსწრე პროფესიონალი მსმენელის თითქმის უმრავლესობამ მისცა. ''ყოჩაღ''! ''ბრავო''! _ მხოლოდ ამგვარი შეძახილები ისმოდა ხმამაღალი ტაშის ფონზე. ამიტომ ერთიორად ეამაყებოდა სკოლის პედკოლექტივს, რომ სასწავლებლის შემოსასვლელში აფიშა მათი მოსწავლეების კონცერტზე იუწყებოდა.

მერე ისევ სამტრედია, სამუსიკო სკოლის დარბაზი, სტუმრებით გადაჭედილი, ოვაციებით სავსე და შეფასება: ადგილი, სადაც გემოვნებიან მსმენელს პროვინციალიზმის მარწუხებიდან თავის დახსნა შეუძლია, სადაც უნიჭობას არ აღიარებენ, არ აქებენ და არ ათამამებენ. ამიტომაცაა, რომ ამ დარბაზში ყველას ვერ შეხვდებით, შეიძლება აქ ცოტა მოდის, მაგრამ ვინც მოდის, ნამდვილი ხელოვნების ღირსეული შემფასებელია.

და მესამე, კონცერტი სახელოვნებო დარბაზში ქუთაისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელსაც რევაზ ჯავახიშვილი დირიჟორობდა. ეს პირველი შეხვედრა არ გახლდათ ამ ორკესტრისა სამუსიკო სკოლის მოსწავლეებთან, მათი თანამშრომლობა უკვე წლებს ითვლის. "ჩვენ არ ვართ სამტრედიაში პირველად, თითქმის ყოველწლიურად ვუკრავთ ამ სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებთან ერთად. მათი შესრულება პედაგოგების ძალიან მაღალ პროფესიონალიზმზე მიუთითებს. არაფერს ვამბობ საფორტეპიანო კლასზე, ის აქ ძალიან მაღალია, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნო სიმებიანი და ჩასაბერი საკრავების კლასის მაღალი პროფესიონალიზმი. დღეს ქართული კლასიკური მუსიკის ასაღორძინებლად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საორკესტრო კადრები გაიზარდოს. სამტრედიის სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები კარგი მაგალითი არიან იმისა, რომ ამ კუთხით უკეთესობის იმედი შეიძლება გვქონდეს. და აქვე, ძალიან ენერგიული დირექტორი ქალბატონი ირმა შანიძე, რომელიც ყველაფერს აკეთებს არა მხოლოდ მისი ოჯახის ღირსეული მუსიკალური ტრადიციების გასაგრძელებლად, არამედ იმისთვის, რომ ეს სამუსიკო სკოლა, რომელიც ორგანულად უკავშირდება მისი ოჯახის მუსიკალურ ტრადიციებს, ერთ-ერთი გამორჩეული იყოს მთელ რეგიონსა და ქვეყანაში. ამასთანავე, უსამართლობა იქნება, არ ვახსენოთ მშობლების მონდომება და მხარდაჭერა, რომელიც უთუოდ დასაფასებელია, ამასთანავე, მთავარი პირობაა მოსწავლეების და მთლიანად სკოლის ესოდენ დიდი წარმატებების.''

სასწავლო წელთან ერთად საკონცერტო სეზონი დაასრულა დომენტი შანიძის სახელობის პირველმა სამუსიკო სკოლამ. წარმატებების რიცხვს კიდევ ერთი წარმატებული წელი მიათვალა. სასწავლო ნაწილის გამგის, იზო რუსაძისა და დირექტორის, ირმა შანიძის მონდომება გააათმაგა პედაგოგების თავდადებამ და პასუხისმგებლობამ საკმაოდ რთული პროფესიის მიმართ. შედეგი სახეზეა _ შეფასება ''ბრავო!''

ახალი სასწავლო წელი კი უკვე მიჩვეულ წარმატებებს ერთიორად დახვეწავს. აქაურებს იმედი აქვთ, ინტერესი ზოგადად ხელოვნებისადმი, განსაკუთრებით, კლასიკური მუსიკისადმი არ განელდება, რადგან იგი იყო, არის და იქნება ინტელექტუალურობისა და ღირსეულობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი.

"მე, შენ და "ორუდილა" 22 წელია ისმის...

ნათია ნაცვლიშვილი

"ორუდილას" ოცდაორწლიან ისტორიას კომპოზიტორი ნონა ჭახნაკია და მისი ნიჭიერი მოსწავლეები შრომით, მონდომებით და საქმის ფანატიკური სიყვარულით ქმნიან. ნონა მასწავლებელს სათვალავიც კი აერია, უკვე მერამდენე თაობას აცილებს. სამტრედიაში მოქმედ ანსამბლებს შორის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მოქმედი "ორუდილა" იმითაც არის გამორჩეული, რომ მას სათავეში კომპოზიტორი ქალბატონი უდგას. მიდიან და მოდიან "ორუდილელები", ვინ სცენაზე მკვიდრდება, ვინ _ მხოლოდ გემოვნებიან მსმენელად და ქართული თუ უცხოური სიმღერის დიდ თაყვანისმცემლად რჩება. ნონა ჭახნაკიამ და "ორუდილამ" საზაფხულო პროექტის მეორე კონცერტზე "მე, შენ და "ორუდილა" მერი იქნა წარმოდგენილი, მაგრამ დიდი ინტერესით უსმენდნენ დარბაზში მსხდომნი მათთვის ნაცნობ შემსრულებლებს, რომელთა ასაკი მრავალფეროვანი გახლდათ. სცენაზე იდგნენ "ონავრები" და უფროსი თაობის წარმომადგენლები.

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში გვიმასპინძლეს. შესრულდა როგორც კომპოზიტორ ნონა ჭახნაკიას, ისე სხვა ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები. სულ 29 ნომერი იქნა წარმოდგენილი.

საღამო "ორუდილას" სოლისტებს, ქრისტინე კერელეიშვილსა და ანა გალდავას მიჰყავდათ. უამრავმა ნიჭიერმა სოლო შემსრულებელმა მოგვხიბლა დიდ ქართველ კომპოზიტორთა უკვდავი, ჰიტად ქცეული სიმღერების შესრულებით. "საქართველოვ, ტკივილო ჩემო" _ ემოციური იყო საბა ქავთარაძე ამ სიმღერის შესრულებისას. თედო კრავეიშვილმა ჯემალ სეფიაშვილის "გული გაუყოფელი" იმღერა, გიორგი ტორონჯაძემ კი მამუკა ჩარკვიანის _"სულ ზევით, ზევით"... სტივ უანდერის უკვდავი ჰიტი "Part Iim Lover" ლუკა დუნდუამ შეასრულა, "people of the sun" _ ჯუნა წიკლაურმა, "ორუდილას" უფროსმა თაობამ შესანიშნავად შეასრულა "High _ school Musicals _ Together" მხიარულ, ემოციურ "ბოშათა ბანაკს" სცენაზე მარიამ თევზაძე შემოუძღვა, ციცინათელების სიმღერა ბარბარე მინაშვილმა გვიმღერა, რუსული სიმღერით, "საით მიდის ბავშვობა" სცენაზე დადა ახობაძე წარსდგა. 4 წლის ელენე შენგელიამ სიმღერით "ბალეტი" გაამხიარულა პუბლიკა. "ორუდილას" მომღერლებს ქორეოგრაფიული ნომრების მომზადებაში ნანა ბებია დაეხმარა. ლიზი მიქაძე, ანასტასია ჩუბინიძე, ნინო და ბარბარე სანიკიძეები, ლუკა კობახია, ლუკა და თაკო დუნდუები... ასევე, ულამაზესი სიმღერებით წარსდგნენ მსმენელის წინაშე.

საღამოს მხიარულ და ემოციურ აკორდად ნონა ჭახნაკიას სიმღერა "სამტრედია" შესრულდა.

კონცერტის ბოლოს სცენაზე ავიდნენ ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები და კომპოზიტორ ქალბატონს კიდევ ერთი წარმატება მიულოცეს. "სამტრედიის მაცნეს" დომენტი შანიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის სასწავლო ნაწილმა, იზო რუსაძემ განუცხადა: "ნონას საუკეთესო ბავშვები ჰყავს ყოველთვის და საუკეთესო კონცერტს მართავენ. მადლობა მათ ამ სიამოვნებისათვის".

კომპოზიტორი მზია ჯინჭველაშვილი: "ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ასეთი ლამაზი კონცერტი იქნებოდა, ვულოცავ ჩემს საყვარელ ნონას, ჩემს კარის მეზობელს ამ ლამაზ დღეს, ის უდიდეს ენერგიას ხარჯავს ამ პატარა ბავშვებთან, მისი სიმღერა "სამტრედია" არის ძალიან ნაღდი, კარგი. ნონას ვუსურვებ ჯანმრთელობას და ენერგიას".

ნონა ჭახნაკია: "დღეს "ორუდილას" 3 თაობა წარსდგა სცენაზე, სულ ახლახან გვქონდა პატარების კონცერტი, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ. მერე ისინი იხვეწებიან და ამ დონემდე ამოდიან. არ მეგონა, ჩემი ჯანმრთელობის პრობლემის ფონზე, თუ შევძლებდი ამ კონცერტის გამართვას, მაგრამ მიხარია, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა. სასიხარულოა, რომ "ორუდილელები" წარმატებებს აღწევენ რეგიონალურ თუ რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსებზე. არც წლევანდელი წელი იყო გამონაკლისი, კულტურის სამინისტროს ეგიდით გამართულ ამიერკავკასიის ხალხთა "მშვიდობის ფესტივალზე" თბილისში ანსამბლი დაჯილდოვდა დიპლომებით, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ქ. ქუთაისში, გუბერნიის კულტურის სამსახურის მიერ ჩატარებულ კონკურსზე "იმერეთის ხმა, პირველი ადგილის მფლობელი გახდა "ორუდილას" უფროსი თაობის სოლისტი, საბა ქავთარაძე. საბა 7 ივლისს ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში მიიწვიეს თეატრალური ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე, თავისი მაღალპროფესიული შესრულებით მაყურებელთა დიდი ოვაციები დაიმსახურა.

"ორუდილას" წარმატებას ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს. 22 წლის განმავლობაში თანადგომისათვის მადლობა მინდა ვუთხრა ქორეოგრაფ ნანა ბებიას, სამხატვრო ხელმძღვანელს, ელიკო ანკვაბს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორ ტატა გოგუაძეს და ყველა მშობელს".

უნდა აუცილებლად აღინიშნოს ნონა ჭახნაკიას დამსახურების შესახებ: არც ისე დიდი ხნის წინ დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის წევრებისაგან კომპოზიტორმა მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა და მათ მიერ შესრულებულმა ამავე კომპოზიტორის სიმღერებმა დარბაზი მართლაც მონუსხა. აუდიტორია ყოველთვის სიამოვნებით ელის ამ მომღერალთა სცენაზე გამოჩენას. ქალბატონ ნონას ამ გუნდის პერსპექტივებზე და გეგმებზეც ვკითხეთ. "ჯანმრთელობის პრობლემების გამო ამ ბიჭებს ოდნავ დავშორდი, ამიტომ უახლოეს გეგმებზე ვერაფერს გეტყვით, ტაძრისადმი მიძღვნილი "გვედრი უფალო" და "მრავალჟამიერი" ჩემი სიმღერებია, რომელთაც ისინი ძალიან კარგად ასრულებენ".

მშობლის რანგში ნონა ჭახნაკიასადმი სიყვარული გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, დარეჯან ქავთარიამაც გამოხატა და გვითხრა: "ჩემი შვილი 3 წლიდან "ორუდილაშია", ეს არის ფუტკარივით მოფუსფუსე, ძალიან მშრომელი ქალბატონი, რომელსაც დღე და ღამე აქვს გასწორებული შრომაში, მინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნონას, მას რამდენიმე ლამაზი სიმღერა აქვს სამტრედიაზე, კიდევ ბევრი შეექმნას. ამ ანსამბლში ნონა მასწავლებლის აღზდილი "ორუდილელების" შვილებიც კი არიან და ასე გრძელდება "ორუდილას" დიდი და ლამაზი ცხოვრება"...

გალერეა

“ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე”

ლევან გაბეჩავა

იგი მაშინ გავიცანი, როცა დიდი ჯიხაიშის ყაზბეგის სახელობის საჯარო სკოლაში ვმუშაობდი მასწავლებლად.

აფასებდნენ სოფელში, რაიონში ბატონ ავთანდილ გახოკიძეს _ დიდი ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, კაცს, რომელსაც ვიდრე ამ თანამდებობაზე დანიშნავდნენ, ცხოვრებისეული დიდი სკოლა ჰქონდა გავლილი.

დილით, 8 საათზე, როცა ავტობუსით სამტრედიიდან მასწავლებლები ყაზბეგში ჩავიდოდით, ხშირად შემოგვხვდებოდა წინ უკვე “ფართობებ მოვლილი” ხვლიკისფერი “ვილისი” რომლის ღია ფანჯრიდან საოცარი კრძალვით, მდაბლად გვესალმებოდა თოვლივით თეთრთმებდაფენილი, თოვლისებრ სპეტაკი სულის მქონე კაცი ავთანდილ გახოკიძე.

წლების მანძილზე ახალგაზრდა პედაგოგები ივნის-ივლისში მესამე შრომით სემესტრს ვხელმძღვანელობდით, სკოლის მოსწავლეები კოლმეურნეობებს მოსავლის აღება-დაბინავებაში ეხმარებოდნენ, წლის ბოლოს კი, კოლმეურნეობა საჭირო ნივთს, ინვენტარს ჩუქნიდა სკოლებს, ერთი სიტყვით ვინც რა უნდა თქვას, მაგრამ ამით არაფერი ფუჭდებოდა, პირიქით, შრომას, სასარგებლო შრომას ეჩვეოდნენ ახალგაზრდები.

მახსოვს, არასოდეს დამავიწყდება სოფლის ცენტრში ბავშვებით სავსე საბარგო მანქანები იდგა და ვინ ბარდის მოსავლის ასაღებად, ვინ კიდევ სხვა სამუშაოს შესასრულებლად მიეგზავრებოდა, ამ დროს თავმჯდომარე მოვიდა, ბავშვთა რაოდენობა გვკითხა პედაგოგებს და ცოტათი შეყოვნდითო გვთხოვა.

ორიოდ წუთში თავმჯდომარის “ვილისი” ლიმონათის, ფუნთუშების, ტკბილეულისაგან იცლებოდა, ხოლო საბარგო მანქანა ივსებოდა. ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაშინ ნამდვილად არავის უჭირდა, თუმცა ფართობებამდე აითვისეს ცელქმა გოგო-ბიჭებმა ყველაფერი.

უყვარდა პროფესიით ეკონომისტ, განათლებულ კაცს, ბატონ ავთანდილს შემეცნებითი საუბრები. იცი, გიფიქრია ბიძიკო ბაღათურადან (მდინარეა ყაზბეგში. ლ.გ.) გუბის საზღვრებამდე რამდენი გვარის ადამიანი, ოჯახი ცხოვრობსო, მკითხა ერთხელ, რაკიღა სოფელ დიდ ჯიხაიშში ლეჟავები, ნუცუბიძეები, ვაშაკიძეები... უნნებად ცხოვრობენ, არც კი დავფიქრებულვარ ისე ვუთხარი _ ალბათ 5-7-თქო. გამომხედა, თბილად გამიღიმა და მითხრა _ 20-ზე მეტი გვარი ცხოვრობს ამ მცირე მონაკვეთშიო. სჩანს თავმჯდომარე ძირითად საქმისაგან თავისუფალ დროს აზრით, ფიქრით მაინც სოფელში ტრიალებდა და მსგავს, ერთი შეხედვით სახალისო, თუმცა, საყოველთაოდ, თუ არა, ჯიხაიშელებისთვის ნამდვილად საყურადღებო საკითხზე ფიქრობდა.

წლები გავიდა. “სამტრედიის მაცნეს” რედაქციაში დავიწყე მუშაობა, ერთ დღეს ბატონი ავთანდილი რედაქციაში ბატონ კორნელი ჩიხლაძესთან მოვიდა, რაკიღა მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, საწარმოთა ხელმძღვანელები ხშირად სტუმრობდნენ რედაქციას, გავიფიქრე, უთუოდ სამსახურებრივი საქმე აქვს ნაცნობ თავმჯდომარეს რედაქციაში-თქო, მაგრამ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა შევიტყვე, რომ ბატონი ავთანდილი, როგორც ბატონი კორნელი ჩიხლაძე ხონელი ბრძანებულა, ორთავეს ერთი სკოლა ჰქონიათ დამთავრებული და სიყრმის მეგობრები სიჭარმაგეშიც არ ივიწყებდნენ ერთმანეთს.

მას შემდეგ ხშირად ვყოფილვარ მომხრე მათი მოგონებებით დახუნძლული საუბრებისა, თითქოს მეც მათთან ერთად ვყოფილიყო, ისევ ისე დავჯირითობდი წარმოსახვით უბელო ცხენებით ხონის მინდვრებსა და ნაქერალებში, როგორც ჩემს წინ მსხდარი მოსაუბრეები, მათი თხრობის სიადვილე განაპირობებდა ყოველივეს.

მერე ბატონი ავთანდილ გახოკიძე რედაქციას საკუთარი ნაზრევით სტუმრობდა და გაზეთიც სიამოვნებით უთმობდა ადგილს კვალიფიციური ეკონომისტის ნაზრევს, აზროვნება კი ნამდვილად ანალიტიკური ჰქონდა. არაფერს ვაჭარებ, დღესაც ინახება რედაქციაში გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრის “სამტრედიის მაცნეს” შეკვრა, სადაც უტყუარი ალღოთია განჭვრეტილი ბატონი ავთანდილის

მიერ, თუ რა დღეში ჩავარდებოდა ქართველები და საქართველო მაშინდელი ხელისუფლების ბეცი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად. ნუტაკ შეიძლებოდეს და გააგებინა, ზედმიწევნით რომ ასრულდა მისი ნაზრევი, ნაფიქრი.

მომავლის ჭვრეტა, ხედვა შეეძლო, უყვარდა პოეზია, მხატვრობა, მეგობრები, საშშობლო, მიწა და გლეხკაცი.

ოჯახის კეთილდღეობა იყო მისთვის თავი და თავი სიხარულისა, ადამიანური ბედნიერებისა.

ჰუმანიზმის, ინტელექტუალიზმის, პატრიოტიზმის, თაობათა შორის ზღვარდაცული მეგობრობის მქადაგებელი იყო ბატონი ავთანდილ გახოკიძე.

...ადრე დარია ხელი ავადმყოფობამ, ბოლოს ხელჯოხით გვეწვეოდა რედაქციაში, უკან მოხედვის რომ არ ეშინოდა იმითაც ჩანდა, რომ ხშირად უყვარდა წარსულის მოგონება.

არა მარტო ჩემთვის რედაქციის თითოეული თანამშრომლისთვის სასურველი სტუმარი იყო იგი. ყველას დაგვწყვიტა გული მისმა გარდაცვალებამ.

ამ დღეებში ერთი ძველი გაზეთი ჩამოვარდა შემთხვევით ხელში, გადავიკითხე “სამტრედიის მაცნეში” თითქმის 20 წლის წინ ბატონი ავთოს მიერ გამოქვეყნებული წერილი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე და ზემოთ თქმულისა არ იყოს, გაოცება ვერ დავფარე, როცა დღეს ყველაფერი ისე ხდება, როგორც ფიქრობდა, წინასწარმეტყველებდა ბატონი ავთანდილი.

რა კარგია არა ისეთ კაცზე რომ დაწერ წერილს, ხელი რომ არ აგიკანკალდება და მერე ბევრიც გეტყვის მადლობას, ხშირად იცოდა თქმა ჩვენმა უფროსმა კოლეგამ ანზორ გრიგოლიამ.

მადლობა რა საკადრისია როცა ღირსეულ კაცს მოიგონებ, მაგრამ ღრმადა ვარ დარწმუნებული, ბევრი დამეთანხმება და წერილს ბევრ დადებით ეპითეტს შემატებს ბატონი ავთანდილ გახოკიძის მისამართით თქმულს.

ნათელში ბრძანდებოდეთ, სინდის-ნამუსიანო კაცურკაცო!

“ფიქრები საქართველოზე”

ნათია ნაცვლიშვილი

ნებისმიერი ახალი წიგნის გამოსვლა კულტურული მოვლენაა. იმ ქვეყანაში, სადაც წიგნის მაღაზიებს რესტორნები და სწრაფი კვების ობიექტები სჭარბობს. ბუნებრივია, ყოველი ახალი წიგნის დაბადება დღესასწაულად და კულტურულ აქტად მიიჩნევა. სამტრედიის ინტელიგენცია კარგად იცნობს ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრს, მწერალ თემურ ჯულაყიძეს, რომელიც მე-4 საჯარო სკოლაში ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლის, მრავალი წელია, პედაგოგიურ საქმიანობას სამწერლოსაც უთავსებს ბატონი თემური. იგი უკვე ორი ათეული წიგნის ავტორია. ცოტა ხნის წინ კიდევ ახალი წიგნი გამოსცა მწერალმა.

იგი ორი ნაწილისაგან შედგება. მისი ზოგადი სათაურია “ფიქრები საქართველოზე _ საქართველოს გადარჩენის გზა”. პირველი წიგნის ქვესათაური რელიგიური ხასიათისაა “ჩვენი მსაჯული მხოლოდ ღმერთია”. ეს წიგნი ცოტა ხნის წინ გამოსული მისი წიგნის “გზა უფლისა” გადამუშავებული და შევსებული გამოცემაა. იგი რელიგიური თემატიკის ლექსებს მოიცავს. “1993 წელს, როცა საფუძვლიანად ვსწავლობდი “ახალი აღთქმისა” და ფსალმუნების ტექსტებს. 33 წლის ასაკში, ვცადე, ცალკეული თავები პოეტური ფორმით გამომეხატა, ემოციური ექსპრესიულობით. 90-იან წლებში ურთულესი დღეები ედგა საქართველოს. ჩვენი უბედურების უპირველესი მიზეზი უფალთან დაშორება გახლდათ!... სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ერს მოუწოდებდა, ყურადღება გაემახვილებინა ახალგაზრდების სარწმუნოებრივ მორალურ აღზრდაზე” _ ამბობს ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში.

ახალი აღთქმისა და ფსალმუნთა ტექსტების პოეტური სახით დამუშავების შემდეგ ავტორი წიგნის მეორე ნაწილში ქვესათაურით _ “ცისავარ” რვამოქმედებიან დრამას გვთავაზობს. თემურ ჯულაყიძის ეს წიგნი, რომელიც გამომცემლობა “უნივერსალმა” დაბეჭდა, როგორც თავად ავტორი ბრძანებს, საქართველოს გადარჩენის გზების ძიებას ეხება. მწერალი წარმოაჩენს უამრავ პრობლემას, სწუხს დემოგრაფიულ კატასტროფაზე, რომელიც ერს ემუქრება, მკითხველს ქართული ოჯახის, როგორც ქვეყნის ქვაკუთხედის გადარჩენისა და გაძლიერებისაკენ მოუწოდებს. წიგნის გმირები არიან სტუდენტები, მოსწავლეები, ქვეყნის სიყვარულით გულანთებული მოქალაქეები: გონერი მართალაძე, ბარემ ბეჯითაშვილი, პოეტი ერეკლე საღლიანი, საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოების ხელმძღვანელი, ტომაშ კუჩერა, ჩეხი ჟურნალისტი, იტალიელი მეცნიერი, დონატო ფერარი... მწერალს შემოჰყავს პერსონაჟები, რომელთაც ისეთი მეტსახელები აქვთ, მათ ცხოვრებისეულ წესსა და მოღვაწეობის სრულ შინაარსს რომ იტევს. მაგალითად, დონდუა მყვლეფავაშვილი, ბაურა ლიქნიაშვილი, ბერწია... ნაწარმოების მთავარი გმირი ნიჭიერი ახალგაზრდა, ცისავარ მადლიერიძეა, რომელიც მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა და ოჯახის შექმნას აგვიანებს. მალე ცისავარი ნიჭიერ ახალგაზრდაზე _ მარიამ ფიალაშვილზე დაქორწინდება და 5 შვილის მამა გახდება. წიგნში ავტორი ეხება თითქოს ყველა პრობლემას, რაც ქვეყნის წინაშე მდგარა და დგას. ემიგრაციაში ქართველი ქალ-ბატონების გახიზვნა ლუკმა-პურის საშოვნელად, თანამდებობის პირთა მომხვეჭელობა და სხვა.

“შორგებულიძეები და მადაძეები ჩინოსნობის ჟამს დატაცებული ფულებით სავაჭრო ცენტრებსა და საბანკო სექტორებს ხსნიან”. _ ამბობს ნაწარმოების გმირი გიორგი ქართველიშვილი.

“ხომ გახსოვს, ძმები ანტიკო და მანტიკო ანჩხლაძეები როგორ წყვეტდნენ ერთმანეთს საძმო სახლისთვის ახლა ისინი უქრთამოთა სასაფლაოზე განისვენებენ, იმათი სადავო მამულები უდავოდ, შეხმატკბილებულად გაინაწილეს, ინდოელებმა და ჩინელებმა”. _ წუხს ნაწარმოების გმირი ნატრული ნატრიაშვილი.



წიგნის ავტორი ფინანსური მხარდაჭერისათვის მადლობას უხდის სამტრედიის მუნიციპალტეტის გამგეობას და გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას.

თარილი დიდ ფშაველს უბრძანებია

ავი კაცის პურ-მარილიც მოსარიდებელია და ცნობისმოყვარეობაც.

ადამიანის ფიქრის ერთი საქებარი თვისება _ მოვლენათა მიზეზის ძიებაა.

ვისაც არაფერი დაუკარგავს, არც ეძებს.

ვაჟკაცობა ის არის კაცმა მტერი მოკეთედ გაიხადოს, თორო მოკეთე რო გადაიმტერო, ეგ რა ბიჭობაა.

ზოგჯერ დამარცხება გამარჯვებას სჯობია.

კვიცმა რა იცის ყალყისა, თუკი არა ჰყავს მხედნელი?

მტერიც კი თავის რიგზე და ნებაზე საჭირო და გამოსადეგია.

მხოლოდ მოხარშულს, დიდხანს ნადუღარს გრძნობას აქვს ძალა.

სიხარულს ვიგრძნობთ განა, სიმწუხარე ნაგემნი რომ არ გვქონდეს?

სულით მარხულობა ბევრად აღემატება ჭკუით მარხულობას.

უმიწაწყლოდ ერი იგივეა, რაც უფრთოდ ფრინველი, უწყლოდ თევზი, უჰაეროდ სიცოცხლე.

ფიქრიანი კაცი არასდროს უსაქმოდ არ დადგება, პურის ჭამის დროსაც კი საქმეს აკეთებს.

ფშავი, ჩარგალი...

ივლისის შუა რიცხვებში ჩარგალი ტრადიციულად უამრავ სტუმარს მასპინძლობს.

სრულიად საქართველო ულოცავს დიდ გენიოსს დაბადების დღეს.

ცივი წყაროები, ანკარა მდინარეები, მორცხვი ია და ენძელები, მთის ბალახი ქუჩი, ხმელი წიფელი, ობოლი შვლის ნუკრი... ყველანი აქ არიან და იზიარებენ იმ საყოველთაო სიხარულს, აღმაფრენას გენიალური მოაზროვნის, მთის ლაღი, ბარაქიანი ძუძუთი აღზრდილი და ნასაზრდოები პოეტის ამქვეყნად მოვლინებით რომაა გამოწვეული.

უყვართ დიდი ფშაველი საქართველოში.

აღიარებენ ვაჟას ნიჭს მსოფლიოში.

მარად ჩვენი თანამედროვეა კლასიკოსი.

155 წლისა გახდებოდა ამ დღეებში ვაჟა-ფშაველა.

ლევან გაბეჩავა

აკაკი რუხაძის პოეზიის სალამო



ჩვენს მეგობარს, შესანიშნავ პიროვნებას, პოეზიის მოყვარულსა და თავად ულამაზესი ლექსების ავტორს, უკეთილშობილესი ოჯახის თავკაცს, მეუღლეს, მამას, ბატონ აკაკი რუხაძეს ხონის თეატრის მცირე დარბაზში პოეზიის საღამო მოუწყვეს.

არ ველოდით ასეთ შეხვედრას. საოცარი იყო საღამოს ფეიერვერკი _ ნიჭიერების, ხელოვნების, პოეზიის ტრფიალის, მოფერების, სიყვარულის.

აკაკი რუხაძე 1960 წელს დაიბადა. დაამთავრა ქუტირის საშუალო სკოლა და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. დამთავრების შემდეგ მშობლიურ კუთხეს მიაშურა. მუშაობა სპეციალობით სამტრედიაში დაიწყო. ამჟამად ბატონი აკაკი სამტრედიაში, კერძო სექტორშია დასაქმებული. წერს ლექსებს, ექსპრომტებს. არანაირ მოვლენას, ფაქტს არ ტოვებს ლექსის გარეშე. "ლექსად გამოვთქვი ნაფიქრი წლობით", _ წერს პოეტი. ადამიანთა უმრავლესობას ბევრი ფარული ნიჭი აქვს, რომელსაც მხოლოდ შემთხვევითობა ამჟღავნებს. ასე მოხდა ბატონი აკაკის ცხოვრებაშიც, მან ლექსების წერა 40 წლის ასაკში დაიწყო და დღეს მისი პოეზია ნიჭთან, შინაგანი ინტელექტის მაღალ ხარისხთან ასოცირდება, რაც იმ საღამოზეც ნათლად წარმოჩნდა.

ცეცხლი დაანთეს ნიჭიერმა ბავშვებმა, განსაკუთრებით არ შემიძლია არ გამოვყო პატარა დეკლამატორი ვასიკო აგლაძე, ექიმები, უმშვენიერესი ქალბატონები შორენა ჩხიკვიშვილი, ნაზი გეგია, ფოლკლორული ანსამბლი, თეატრის მსახიობები და ამ ლამაზი საღამოს სულისჩამდგმელი, შესანიშნავი, ნიჭიერი მსახიობი, ახალგაზრდა პოეტის ედუარდ უგულავას დედა _ გულიადა სანოძე.

დიდი, დიდი მადლობა ხონელებო, კოლეგებო, რომ ასე გიყვართ პოეზია და ამდენი სიყვარულისა და სითბოს გაცემა შეგიძლიათ. მადლობა ხონის კულტურის ცენტრის დირექტორს, ჩვენს მასპინძელს ქალბატონ მინერი ონიანს, ხონის ტელევიზიას მშვენიერი სიუჟეტისათვის. მადლობა ჩვენს საიმედო მეგობარს, აკაკი რუხაძეს, მის მშვენიერ მეუღლეს, მაია ფეიქრიშვილს, რომ არსებობთ და თქვენი ცხოვრებით, თქვენი კეთილშობილებით ჩვენ ვართ ამაყნი. გაიხარეთ თქვენი ერთადერთი ვაჟით პეტრეთი.

ხონელებო, სამტრედიაში გელოდებით, სტარტი უკვე აღებულია! აკაკის ხონიც უყვარს და სამტრედიაც. ჩვენი ქალაქი მისი დედულეთია. მან სწორედ დედისეული, განუმეორებელი და ულამაზესი სიყვარული ჩადო ლექსში "სამტრედია", რომელზეც სამტრედიელმა პედაგოგმა და კომპოზიტორმა ქალბატონმა ფოთოლა ჩიქობავამ დაწერა შესანიშნავი მუსიკა. მას სამტრედიის ქალთა ვოკალური ანსამბლი "ათინათი" ასრულებს. საოცარია ხოწზე მიძღვნილი ლექსიც.

იმ ლამაზ და ამაღლებულ საღამოს სიტყვით გამოვიდნენ პოეტი და პედაგოგი ქალბატონი თამარ რაზმაძე, პოეტი, ნ. ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი ბატონი თეიმურაზ ჯულაყიძე, პედაგოგი და კომპოზიტორი ქალბატონი ფოთოლა ჩიქობავა, პედაგოგი ნინო მიქელაძე. წინ კიდევ დიდი გზა უდევს ბატონ აკაკი რუხაძეს. ვუსურვებთ მის მიერ გაღებული კაცურკაცობის მადლი ერთი ასად დაბრუნებოდეს!

მინდა, ჩემი წერილი პოეტ თამარ რაზმაძის მიერ აკაკი რუხაძისადმი მიძღვნილი ლექსით დავამთავრო:

"შენს ლაღ სტრიქონებს
ჩუმ-ჩუმად სწონი,
შემოგვაპარებ საოცარ ხიბლით,
და გირჩევნია სუყველას მგონი,
შენი პატარა, ლამაზი ხონი.
შენი ლექსები ყველა სუფრასთან
დიდი ხალისით წაიკითხება,
მე, სამტრედიელს გიწოდებ მაინც
რა ხონელი ხარ, არ იკითხება.
წერე, ქართული სიტყვის ტრფიალო,
სულში გიბუდობს ლაღი ლექსები,
ბედნიერი ხარ, რომ ორ ქალაქში,
რომ ორ ქალაქში გიდგას ფესვები!"

ასე რომ, პოეზიის სიყვარულით ისევ აღვადგინოთ მეგობრობის ძველი ხიდი _ სამტრედიასა და ხონს შორის.

ᲒᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲣᲓᲘᲐᲜᲘ-ᲩᲐᲑᲠᲐᲫᲔ
ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲬᲕᲠᲔ

ᲓᲐᲜᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲜᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲘᲗ

პოეზია

როგორც განცდის სიზმარი

თვალს გაყოლებ იცოდე,
ჩემო თვალის სინათლევ,
ხელი გამომიწოდე,
მხოლოდ ამას ვინატრებ,
რომ ოცნებამორეულს
გული არ გიცივდება,
რომ შენს გულქვა ორეულს
სურვილი არ სცილდება.
იყოს დაუვიწყარი
ეშხით სავსე მადონა,
როგორც განცდის სიზმარი
სულს რომ დაეპატრონა,
რომ დარდების საფარქვეშ
ამხნევებდეს იღბალი,
რომ იღბალი აღანთებს
მზეს, რომ შენ მოიმხარი!

სურვილის მერიდიანზე

რა არის გასაკვირველი,
გულს თუ გაუხსნი იასა,
დარდებს გაუმხელ, ჰპირდები,
ანდობ გულს თავაზიანსა.
შემოგენთება სინაზე,
სულში რომ ჩუმად ამხელდი,
სურვილის მერიდიანზე
გული გაგიწევს თავხედი,
და როგორც მორცხვი ენძელა,
სიწითლეს ვეღარ გაურბის,
აჰ! ეს ვარდების ფერწერა,
მზესაც რომ თავს არ დაუხრის.
რა არის გასაკვირველი,
გულს თუ გაუხსნი იასა,
დარდებს გაუმხელ, ჰპირდები,
ანდობ გულს თავაზიანსა!

ალბათ, სიზმარში მყავდი ნანახი

ალბათ, სიზმარში მყავდი ნანახი,
როს გადარდებდა ხსენება მთვარის,
და დაგეძებდი გულის კარნახით
თან მოველოდი მზის გამოძახილს.
და, რა თქმა უნდა, სწორად გამიგე,
ეჭვის გარეშე ვერ დაფიქრდები,
და რომ ცრემლებით ჭკუას მარიგებ,
ბროლის მძივებად ლაღად ირთვები.
და ისევ სიზმარს დაუბრუნდები,
რომ ბედისწერის დღე იყოს მყარი,
როს, დღე და ღამე არის ხუნდები
და დღე და ღამის განცდებს შეჰხარი.

ეს მზე ისევ სიხარულად ინთება
("ვეფხისტყაოსნის" მოკლე შინაარსი)

ეს მზე ისევ სიხარულად ინთება,
ამ ფიქრებში გაზაფხულის დარია,
სადაც სუფევს მარად თავდავიწყება
და ნუგეში კვლავაც ამირბარია.
რომ ეს წუთი სასიცოცხლო ჰიმნია,
ციურ ჰანგთა მოგუგუნე ზარების,
ბედისწერის სული რომ მიგვინდია
გამხელილი, _ დარდის გარდაცვალების.
ეს დრო ელის ჩემგან ახალ იარებს,
რომ ეს წუთი სიხარულად ვლინდება,
ტარიელის ბედს რომ აამზიანებს,
ავთანდილის გზა რომ არ იბინდება.
მძიმე დარდში გადაზრდილი ფიქრები,
ან გამწყრალი ბედი რომ გეფერება,
შენამცრთალი, უბრად გაირინდები,
ვით ნესტანის სულში დაიმედება.
ეს ცეცხლია, ისევ დარდს რომ გვპირდება
თუმც, ხალისად დაამცვიდრებს არტახებს,
ნესტანს გული აღარ გაუცივდება
მეგობრობა ქაჯეთს გააპარტახებს.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲘᲠᲒᲐᲫᲔ

***

"რამ შემქმნა ადამიანად?!"
ერთხელ, თვით ვაჟამ იკითხა...
მეც რომ ამგვარად ავმღერდი?
ამჩემდა, როგორც თილისმა.
"რატომ არ მოვედ წვიმადა?!"
ვის დავეკარგე მიწაზე?!
ჩემებრ, ამ ქვეყნის ბინადარს,
როგორ არ ვენდო სიტყვაზე?!
ნეტავ, აქ რა დამრჩენია,
რისთვის ვიღრმავებ იარებს?
რაც ტალახი და მტვერია,
ყველა ჩემს ირგვლივ ტრიალებს!
თითქოს არაფრის მრცხვენია,
არაფერს არ ვუშინდები,
მე რაც თავს გადამხდენია,
უნდა მეწერა წიგნები!
უნდა გამეხსნა ბოცები
და მესვა გონის კარგვამდე!
უნდა გამეცნო ლოთები,
მომეხმო სახლის კარამდე!
განდეგილს უნდა მეცხოვრა,
ტაძრის სამრეკლოს კიდეზე!
მუხლის თავებით მეხოხა,
იქვე, შესასვლელ კიბეზე!
"რამ შემქმნა ადამიანად?!"
და თითქოს სილა შემომცხეს!
შე, უბადრუკო, ჭკვიანად,
ჰყვარებიხარო შემოქმედს!
ერთი ყველასთვის!
შენ, ვინც ამას კითხულობ,
ვისაც ეტყვი ამაზე,
სხვავ, შენც სხვასთან მისულო,
წამომსვლელო ამ გზაზე!
მეგობარო მეგობრის,
მეზობელო მეზობლის,
შენც, ნაცნობო ნაცნობის,
ახლობელო ახლობლის!
შენ, სიმდიდრის მფლობელო,
ლუკმა პურის მთხოვნელო,
შენაც, მიწის მომხვნელო,
ქალაქელო, სოფლელო!
ბრძენო, ცოდნით ცნობილო,
შენც, ოსტატო ხელობის,
და შენც, ჩემო ძმობილო,
გამცემო კვლავ წყალობის!
შენ ერთი ხარ ყველასთვის,
მეც მსურს თქვენი ერთობა!
წელიწადის, დღის და თვის,
მარადიულ ექსპრომტად.

***

ყოველდღე, შენი ხსოვნის ბნელ კუთხეში მოვდივარ,
ცალმხრივი სიყვარულის მოაჯირს ვეყრდნობი და ვფიქრობ...
ვფიქრობ, ახლა კი თავს მართლა მოვიკლავ(!)
და რაღაც მიუღწეველს ვცდილობ...
შენი ცა, მე მახსოვს ჩემს ცაზე მაღალი
და შენი ღრუბლებიც, ვარდისფერ ქულებად...
მე მახსოვს ის გოგო, კეთილი, ალალი...
მე შენ გგრძნობ, ყოველდღე, ტერფებად, მუხლებად!
და სანამ ძარღვებში მოჟონავას ეს სითხე,
რომელსაც დავღვრიდი, რომ წითლად მეწერე!
ჩვენ ყველა საზღვრების ზღუდეებს დავშლიდით,
ჩვენ ერთად შევძლებდით ყველაფერს და მერე...
უბრალოდ მინდა, რომ უბრალოდ მიყვარდე,
უბრალო გოგო და ბრალს გდებდე ლექსებით!
თითების შეხებით ჩემს ცამდე მიმყავდე,
თუ ვინმე მოგვძებნის, არა, არ ვჩერდებით!
და ასე... ჰო, ასე! სულ ასე ვიაროთ!
ვიაროთ ჩვენ ორმა და არა ცალ-ცალკე!
ვიფრინოთ, ვირბინოთ, ვიმზეოთ, ვიავდროთ,
ამ ბეწვის ხიდზე, ჩქარ-ჩქარა, მალ-მალე!
რომ ყველა გვხედავდეს ისეთებს როგორიც...
ყოველდღე, შენი ხსოვნის ბნელ კუთხეში მოვდივარ,
ცალმხრივი სიყვარულის მოაჯირს ვეყრდნობი და ვფიქრობ...

***

დაე გერქვას რჩეული
წუთისოფლის სტუმარი!
მე არ ვიცი ვინა ხარ,
ანდა ვის მზეს ფიცულობ,
მე, უბრალოდ მიყვარხარ
შენ კი, ამას კითხულობ!

***

ნახე...
დაგინახე...
მიზნად დაგისახე!
გულში შეგინახე!
ნახე...
დაგანახე...
ზღვები გადავლახე!
თვალწინ შენი სახე...
ნახე...
ხომ მოგნახე!
გზები გამოვნახე!
ქვებზე გამოგსახე!
ნახე...
გავილახე...
ვეღარ დაგინახე!
ვეღარც სამოთხის ხე...
ნახე!
დავიმარხე...
ნახე...
და...
ვი... (დრე)
მარ... (თლა)
ხე!
"არ მინდოდა!
გეფიცებით, არ მინდოდა!.."

***

წინ წადი!
დატოვე ზურგს უკან სინათლე...
იცხოვრე, ითხოვე, იფიქრე, ინატრე!
გახსოვდეს, გჯეროდეს, უბრალოდ იცოდე...
გიყვარდეს, გიყვარდეს, გიყვარდეს, გიყვარდეს!!!

პირველი მერცხალი

ზამთრის აივანზე ყინვას ვამზეურებ,
გარეთ ცისარტყელა თოვს.
რაღაც უჩვეულოდ ღრუბელს გავეხუმრე,
ფოთლებს სიზარმაცე სპობს.
ზეცას მიწიდანვე ჩუმად ვეპარები
და ჩემს სიახლოვეს ატყობს,
მე ჩემს პოეზიას მაინც ვეყვარები,
თავის გამჟღავნებაც მაწყობს.
კალამს სილაჟვარდე ქუდად წამოვაგე,
მხოლოდ ბეღურები დარჩნენ...
როგორ გამოვადგე, რაში გამოვადგე,
თუ არ გაზაფხულის მაცნედ!

***

სამყაროა ნაცრისფერი,
მე დავდივარ მწვანეზე,
გაგიღიმებ, გაგატარებ,
გაგიყოლებ მთვარეზე.
სამყაროა ცარიელი,
დაავიწყდათ სიკეთე,
ჰოდა, თუ გსურს ხასიათი,
შენით გამოიკეთე.
სამყაროა გიჟი, მაგრამ
ვერმომსვლელი ჩემამდე,
ცის კიდეზე ფეხით ვდგავარ,
ღრუბლებში ვარ ყელამდე.

***

სიმაღლიდან, სინათლიდან, სიმდაბლიდან გავიხედე,
დავინახე უსახური, უწმინდური, მტვერის გროვა,
ვიცოდი რომ პატარაა ცისქვეშეთი,
მაგრამ ასე, ერთი ციცქნა არ მეგონა.
მერე ირგვლივ მიმობნეულ ფერად ფოთლებს,
რაღაც დიდი სიხარულით ვაგროვებდი,
"კაცად შევრჩე, სულ ბოლომდე წუთისოფელს",
წავიდოდი, მხოლოდ სახელს დავტოვებდი.
ახლა ვხვდები, რა ტკბილია ზოგჯერ წამი,
ბედნიერი მომავლისკენ იწევს განცდა,
და ოდესღაც, რომ არ ჰქონდა გასაქანი,
ახლა უკვე, ის არსებაც საზღვრებს გასცდა.
ეს ის დღეა... ვამბობდი და კიდეც ახდა,
მიზანია, ოცნებას რომ ეძახდნენ,
ყველაფერი რეალური კი არ გახდა,
ასეც იყო და ვერაფერს ხედავდნენ!

ᲛᲐᲙᲔᲪᲐ ᲑᲘᲑᲘᲚᲘᲗᲔᲕᲘᲚᲘ

სენსეის "სპორტის დამსახურებული მოღვაწის" წოდება მიენიჭა

ქეთევან ჭელიძე

ირაკლი დოლაბერიძე (მარცხნიდან), მიხეილ ქანთარია, ავთანდილ შენგელია, გიორგი ხაბაძე (აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი), ანზორ ჩუბინიძე

"ვზა შორეული ჭეშმარიტებისაკენ" – ასე ითარგმნება ქართულად კარატე კიოკუშინკაი. ჭეშმარიტებისაკენ სვლა კი იოლი ნამდვილად არ არის. ეს ბევრზე უკეთ, ალბათ, მიხეილ ქანთარიამ იცის, რადგან ბევრ წელია, შესაშური მოთმინებით, ერთგულებითა და ფანატიზმით, ზოგჯერ ჯიუტადაც კი მიიწევს მის შესაცნობად.

ბატონი მიხეილის დამსახურებაა, საქართველოში პირველად კარატეს კლუბი სამტრედიაში რომ დაარსდა. მრავალი კიოკუშინკაიელი ეზიარა აქ აღმოსავლური ორთაბრძოლების ფილოსოფიას. ამ სპორტისათვის დამახასიათებელ ურთულეს ტექნიკას. მათ საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანეს ჩვენი პატარა ქალაქის სახელი. გამარჯვებულებმა სამტრედიის დროშა ააფრიალეს იაპონიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, იტალიაში, გერმანიაში, აზრებაიჯანში, სასომხეთსა და სხვავან.

ამაგი დაუფასდა ბატონ მიხეილს _ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის, ტარიელ ხეჩიკაშვილის 2016 წლის 15 აპრილის ბრძანებით, მას "სპორტის დამსახურებული მოღვაწის" წოდება მიენიჭა. გადაწყვეტილება ჯერ კიდევ გასულ წელს, სენსეის დაბადების 65 და კარატეს კლუბის დაარსების 35 წლისთავზე მიიღეს.

მადლიერებას გამოხატავს მიხეილ ქანთარია ბატონი ტარიელ ხეჩიკაშვილის, საქართველოს კონტაქტიანი კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, ავთანდილ შენგელიას, სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ირაკლი დოლაბერიძის, კიოკუშინკაი კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტის, ანზორ ჩუბინიძისა და ყველას მიმართ, ვინც წვლილი შეიტანა, მისთვის ეს საპატიო წოდება მიენიჭებიათ.

შავი ქამრის მე-4 დანის მფლობელ სენსეის კარატეს სამყაროში როგორც მაღალი რანგის სპეციალისტს, ისე იცნობენ. არც ერთი მნიშვნელოვანი ტურნირი არ ტარდება საქართველოში მის გარეშე _ მას ეკითხებიან, მის აზრს ითვალისწინებენ, მსაჯად იწვევენ. ეამაყება, რომ იაპონიაში, კარატეს სამშობლოში, მსოფლიო ჩემპიონატის დროს 4 ევროპელთან ერთად ისიც მსაჯობდა. 2017 წლისთვის კი, ქუთაისში დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატს, სადაც 27 ქვეყნის სპორტსმენები მიიღებენ მონაწილეობას, ორგანიზებას ისიც გაუწევს. დავალება მან პირადად საერთაშორისო კიოკუშინკაი კარატეს პრეზიდენტისგან, თეუბა აზიზოვისგან მიიღო.

მიხეილ ქანთარიამ სპორტული ცხოვრება თავისუფალი ჭიდაობით დაიწყო. არის სამტრედიის, თბილისის და დასავლეთ საქართველოს რეგიონის ჩემპიონი, საქართველოს მე-3 ადგილის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

29 წლის ასაკში ჩათვალა, რომ ჭიდაობაში თავისი შესაძლებლობები ამოწურა და თავი დაანება. თუმცა, მალე კარატეთი დაინტერესდა. "მაშინ სიტყვა "კარატეს" გამო ადამიანებს იჭერდნენ. წარმოდგენა არ მქონდა, ეს რა იყო. ერთხელ, ჩემმა მეგობარმა კაკო კოპალეიშვილმა (შემდეგში კომკავშირის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი), რომელიც იმ პერიოდში თბილისში "გვირაბმშენში" მუშაობდა, მითხრა, რომ მისი დირექტორის შვილი კარატეთი იყო გატაცებული, მოსკოვიდან ჩამოვიდა და ხომ არ ნახავდიო. ძალიან დავინტერესდი ამ სპორტით. თითოეული ილეთის შესასწავლად თბილისში ჩავდიოდი ."_ იხსენებს ბატონი მიხეილი.

კარატეთი მან სხვებიც დაინტერესა და სამტრედიაში 12 კაციანი ჯგუფი შექმნა. ერთი წლის შემდეგ მისი მცდელობით ჩვენს ქალაქში საკავშირო სემინარი ჩატარდა. ხელისუფლებისთვის ისედაც მიუღებელი სპორტის ეს სახეობა 1983 წლიდან საერთოდ აიკრძალა. მიხეილ ქანთარიამ, რომელიც იმ დროს დასავლეთ საქართველოს მშენებარე ობიექტების დირექციის მთავარ ინჟინრად მუშაობდა, სამსახურიდან გამომდინარე, მოსკოვში ხშირად უწევდა ჩასვლა. იქ იგი თავის მასწავლებელთან, ალექსანდრე ტანიუშკინთან ცხოვრობდა. ამ უკანასკნელის სახელს უკავშირდება საბჭოთა კავშირში კარატეს შემოტანა და გავრცელება.

"8 წელი ვცხოვრობდი მასთან. მან წამიყვანა კოსმონავტთა დახურულ ქალაქში, სადაც ვვარჯიშობდი კოსმონავტ ჯანიბეკოვთან და სხვებთან ერთად. ეს ჩემთვის მართლაც დიდი გამართლება იყო". _ გვიყვება სენსეი.

კარატეს აკრძალვის გამო, მიხეილ ქანთარიას მოგვიანებით, მხოლოდ 2010 წელს, ესპანეთში ვეტერან კარატისტთა შორის გამართულ შეჯიბრებაში მიეცა ასპარეზობის შესაძლებლობა. აქ მან მე-4 ადგილი დაიკავა.

ზოგადად საქართველოში ჩემპიონატების ჩატარება 2005 წლიდან ანზორ ჩუბინიძის ინიციატივთ დაიწყო. კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა და დღემდე ეხმარება სხვადასხვა ფედერაციის კარატისტებს ნებისმიერი ფორმით.

ბატონი მიხეილი ხშირად გვსტუმრობს რედაქციაში და ცდილობს, მკითხველს უყურადღებოდ არ დარჩეს მისი მოსწავლეების წარმატებები. სენსეი სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის მწვრთნელია და მის მიერ აღზრდილი კარატისტებიც ძირითადად ამ სკოლის სახელით ასპარეზობენ.

საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს კლუბების ეროვნული ფედერაცია სამტრედიაში კუნძულ ოკინავაზე არსებული ორგანიზაციის წევრია.

ოკინავა კარატეს ცენტრია და იქ მოხვედრა ყველა კარატისტის პრესტიჟია. "მე ერთადერთი ქართველი ვარ, ვინც ამ კუნძულზე ჩავიდა. _ ამბობს ის. _ შავი ქამრის მე-3 დანზე გამოცდაც იქ ჩავაბარე. წლების განმავლობაში ყველგან ვიყავი, სადაც კი უნდა წავსულიყავი და მიმეღო მონაწილეობა. ამისთვის საკუთარი ქონების გაყიდვაც კი დამჭირდა".

მიუხედავად იმისა, რომ სამტრედიელ კიოკუშინკაიელებს არა აქვთ საკუთარი დარბაზი და ხშირად უწევთ ადგილმონაცვლეობა, არა აქვთ სათანადო სავარჯიშო პირობები და ფინანსები, ისინი მაინც ახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცებას. ყველაზე ბედნიერია მწვრთნელი, როცა მისი მოსწავლე კვარცხლბეკზე დგას და ერთგვარ რიტუალს ასრულებს _ აუცილებლად გაშლის სამტრედიის დროშას.

ეამაყება კლუბს ორგზის ევროპისა და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი ქალთა შორის თამარ ბიბილეიშვილი, რომელიც იაპონიაში 8 უძლიერეს კარატისტ ქალთა შორის დასახელდა. ევროპის ჩემპიონები ტარიელ ბახტაძე და რევაზ გიგაშვილი, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები ავთანდილ მიგინეიშვილი, საქართველოსა და საერთაშორისო ჩემპიონატების პრიზიორები ავთანდილ და ლევან არველაძეები, ოთარ შანიძე, ჯიმი სიხარულიძე, მალხაზ გაფრინდაშვილი, ბესო დარჯანია, კახა თავაძე, ზაზა დუმბაძე და სხვები.

ევროპის, მსოფლიოს, საქართველოს ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ასპარეზობებში მოპოვებული მრავალი მედალი, ჯილდო და სიგელი წარმოადგენს კლუბის კუთვნილებას. კარატისტ ქალთა სამჭედლო _ ასე უწოდებენ სამტრედიას საქართველოში. გამორჩეული მოსწავლეები ჰყავს სენსეის: მანანა მუქერია _ ორი საერთაშორისო ასპარეზობისა და აჭარის ღია ჩემპიონატის ჩემპიონი. ჩემპიონატი მიმდინარე წლის 18-19 ივნისს ჩატარდა ბათუმში, სადაც სხვადასხვა წონითი კატეგორიების მიხედვით მე-2 და მე-3 ადგილები გაინაწილეს მარიამ გოგიტაურმა _ საერთაშორისო ასპარეზობის მეორე ადგილის მფლობელმა და საქართველოს ჩემპიონმა და თამარ გახარიამ _ საერთაშორისო შეჯიბრების პრიზიორმა. მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორია აგრეთვე, 18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის, მარგო სტურუა.

8-9 ივლისს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჩატარდა კარატეს საერთაშორისო ორგანიზაცია სრულიად იაპონიის კიოკუშინკაის კავშირის მსოფლიო ჩემპიონატი კონტაქტიან კარატეში _ კიოკუშინკაი კარატე. 12 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში მარიამ გოგიტაურმა მე-4 საპრიზო ადგილი მოიპოვა და მედლით დაჯილდოდა.

კლუბს უკვე მიწვევა აქვს, 2017 წლის იანვარსა და ნოემბერში მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ჩემპიონატსა და მსოფლიო თასის გათამაშებაში იაპონიასა და ინდონეზიაში. ამ ქვეყნებში სამტრედიის ღირსებას თამარ ბიბილეიშვილი დაიცავს.

სენსეი მიხეილ ქანთარიამ სურვილი ვერ აიხდინა და თავისი კლუბის შესახებ ქართულ-ინგლისურენოვანი წიგნი ვერ გამოსცა. თუმცა, სიამოვნებს იმაზე საუბარი, რომ სამტრედიელი კარატისტები ისტორიას იმ წიგნითაც შემორჩებიან, სამინისტროსთან არსებული ორთაბრძოლების კონფედერაციის მიერ ბრიუს ლის დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით რომ გამოვიდა. მასში რამდენიმე გვერდი სამტრედიელ წარმატებულ კიოკუშინკაიელებზე მოუთხრობს კარატეთი დაინტერესებულთ.

შმაგი თოდუა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორია

იგი სპორტულ დარბაზში 5 წლისა თავისით მისული შეამჩნიეს. მერე სპორტულმა ჟინმა, რომელმაც პატარა ბიჭუნაში ამოფეთქა, თავისი გაიტანა, წლების მატებამ შმაგის სპორტული მიღწევებიც გაუმრავლა. ის უკვე წარმატებული და ტიტულოვანი სპორტსმენია. შმაგიმ წლეულს დაამთავრა კულაშის მკურნალის სახელობის საჯარო სკოლა. (24-26 ივნისს) რუმინეთის ქალაქ ბუდაპეშტში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. მასში წარმატებით იასპარეზა თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების პირველმა ნომერმა, შმაგი თოდუამ (60 კილოგრამი წონითი კატეგორია). მისი მწვრთნელები არიან ბიძინა მელაშვილი და ზაზა არქანია.

შმაგი რედაქციაში გვესტუმრა საჭიდაო კლუბ "ფალავანის" ხელმძღვანელ ირაკლი მელაშვილთან ერთად. სპორტსმენმა "სამტრედიის მაცნეს" კომენტარი მისცა.



შმაგი თოდუა: "11 თებერვალს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც დავიკავე პირველი ადგილი და მოვიპოვე საგზური. ევროპის ჩემპიონატზე I, II და III შეხვედრა წარმატებით დავასრულე, ნახევარფინალში კი თურქ სპორტსმენთან დავთმე საკმაოდ რთული შეხვედრა, მაგრამ არ დამიკარგავს შანსი და მესამე ადგილის მოსაპოვებლად გავედი. ჩემი მეტოქე უკრაინელი სპორტსმენი იყო, რომელთან გამარჯვებაც ჩემთვის ძალიან სასიხარულოა. ამ გამარჯვებით კი მოვიპოვე მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება. ჩემპიონატი საფრანგეთის ქალაქ ნიცაში (29 აგვისტო-2 სექტემბერი) გაიმართება.

შმაგის წარმატების შესახებ კომენტარი საჭიდაო კლუბ "ფალავანის" ხელმძღვანელს, ირაკლი მელაშვილს ვთხოვეთ:

"ვულოცავ შმაგი თოდუას ამ დიდ წარმატებას. მართალი გითხრათ, მისგან უფრო დიდ შედეგს ველოდით, მაგრამ ვიმედოვნებთ, აგვისტოში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატიდან ჩემპიონის ტიტულით დაგვიბრუნდება. შმაგის ძალიან პატარა ასაკიდან ვიცნობ, ყოველთვის იყო შრომისმოყვარე და ენერგიული, ვულოცავ ასევე მის მწვრთნელებს, ბიძინა მელაშვილს და ზაზა არქანიას, რომელთა დიდი დამსახურებაა, შმაგის წარმატებები. ჩემთვის, როგორც საჭიდაო კლუბ "ფალავანის" ხელმძღვანელისთვის, ძალიან სასიამოვნოა, რომ ბოლო ხანს ჩვენი სპორტსმენები მეტად პრესტიჟულ ტურნირებზე აღწევენ წარმატებებს".

ნათია ნაცვლიშვილი

ნიჭიერი მოჭადრაკეების ფარმატები

ქუთაისში დამთავრდა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში უთანრიგო, მე-4 და მე-3 თანრიგის მქონე მოჭადრაკე ჭაბუკთა და გოგონათა შორის. შეჯიბრება იმერეთის ჭადრაკის ფედერაციისა და ქუთაისის საჭადრაკო სკოლის ორგანიზებით გაიმართა. ტურნირში 233-მა მოჭადრაკემ იასპარეზა.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი გახლდათ საერთაშორისო არბიტრი ალექსანდრე არსენიძე, ტურნირის დირექტორი იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ზაზა ლომინაძე. გამარჯვებულები 11 კატეგორიაში გამოვლინდნენ. გათამაშდა საინტერესო პარტიები.

ფესტივალში მონაწილეობდნენ: ქუთაისის, ხონის, ვანის, თერჯოლის, ზესტაფონის, ბაღდათის, ამბროლაურის, სამტრედიისა და აბაშის, სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ფესტივალში წარმატება მოიპოვეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ვანო კილტავა) აღსაზრდელებმა, 9 წლის გიორგი ბურკაძემ და 9 წლის ბარბარე გაგუამ, 8 წლის მარიამ ძიძიგურამა (მწვრთნელი ბესო ლეჟავა). ბარბარემ მესამე თანრიგის მაძიებელ გოგონებში პირველობა არავის დაუთმო და მესამე თანრიგიც მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მან რამდენიმე ვაჟიც უკან ჩამოიტოვა. გიორგი ბურკაძემ კი ვაჟებში მა და უთანრიგოთა შორის გოგონებში მესამე ადგილი მოიპოვა. ტურნირში წარმატებით მონაწილეობდა აგრეთვე 9 წლის ნიკო ბარდაკოვი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებითა და მედლებით.

ამავე ტურნირში აქტიურად ჩაებნენ და პირველი წარმატებული ნაბიჯი გადადგეს იმ პატარებმა, რომლებიც საჯარო სკოლაში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის ჭადრაკში, გარი კასპაროვის მეთოდით ეუფლებიან ამ ბრძნულ, სამეფო თამაშს. ესენი არიან სამტრედიის № 2 საჯარო სკოლის მეორეკლასელები (დირექტორი თეა კარტოზია, კლასის ხელმძღვანელი ქალბატონი ნათელა ჯიმშელეიშვილი, ჭადრაკის მასწავლებელი გულიკო გოგიტიძე) ნიკოლოზ კანდელაკი, ნიკოლოზ მშვიდობაძე, ნინო გეგუჩაძე, მიხეილ კანდელაკი, ლუკა და ამრიდ გაბელაიები (ილორის უბნიდან კლასის ხელმძღვანელი მანანა ნიკურაძე). მათ წარმატებით იასპარეზეს უთანრიგო 8 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის და საკმარისი გამოცდილება მიიღეს, რაც შემდეგი წარმატების მანიშნებელია. განსაკუთრებით მინდა გამოვყო 7 წლის ლუკა გაბელაიას კომბინაციური თამაში, პატარა ლუკამ 4 ქულა ჩაიწერა თავის ანგარიშში და 12 ივლისს ფოთის მე-11 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალზე მიემგზავრება. ლუკა 8 წლამდე ჭაბუკთა შორის იასპარეზებს.

უნდა აღვნიშნო, რომ წელს იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირში პირველად მონაწილეობდნენ სამეგრელოდან აბაშის რაიონის სოფელ 1-ლი მაისის საჯარო სკოლის მეორეკლასელები. როლანდ დუნდუა, დავით ჩიტია, საბა კვირკველია და ანანო ასათიანი (სკოლის დირექტორი რიტა გოგიშვილი, კლასის ხელმძღვანელი ია გოგიშვილი, ჭადრაკის მასწავლებელი გულიკო გოგიტიძე). დებიუტანტებმა კარგად იასპარეზეს და საკმაო გამოცდილებაც შეიძინეს.

ვულოცავ ტურნირის მონაწილეებს გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებ.

დაბოლოს, მინდა დავსძინო, თუ რაში ეხმარება მოზარდს ჭადრაკის ცოდნა? იგი მეტად უვითარებს მათ გონებას, მათემატიკის ნიჭს, ხელს უწყობს კარგი და წარმატებული მოსწავლეები იყვნენ, გამოიმუშავონ სხვადასხვა უნარი, ჩამოუყალიბდეთ ნებისყოფა, ისწავლონ ურთიერთპატივისცემა და ისეთი წესები, რაც, შესაძლოა, სპორტის სხვა სახეობაში არ იყოს. გარდა ამისა, მოსწავლეებს უვითარდებათ ბრძოლის უნარი. ჭადრაკში პარტია ძალიან ჰგავს ჩვენს ცხოვრებას. ასე რომ, დაეუფლეთ ამ ბრძნულ და სამეფო თამაშს!

ვულიკო გოგიტიძე
ფრანგული ენის პედაგოგი,
ფაზისის მეცნიერებათა
აკადემიის წევრი,
ჭადრაკის მასწავლებელი

შავი წიწაკა, ანა მაჩალო სიფნელი

ყველასათვის ცნობილი შავი წიწაკა არა მარტო საჭმლის მომზადების დროს შეიძლება გამოვიყენოთ:

1. აწყნარებს ხველას.

თაფლიან ჩაის, შავ წიწაკასთან ერთად, ტრადიციულად იყენებენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხალხურ მედიცინაში. წიწაკა ასტიმულირებს ამოხველებას. ცხელ ჩაის დავუმატოთ ორი ჩაის კოვზი თაფლი და 1 ჩაის კოვზი შავი წიწაკა. გავაჩეროთ 10-15 წუთი, გადავწუროთ და მივიღოთ.

2. ამარტივებს სიგარეტისთვის თავის დანებებას.

2013 წელს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ შავი წიწაკის ზეთის შეყნოსვა ასუსტებს თამბაქოსადმი ლტოლვას.

3. ამსუბუქებს ცხვირის გაჭედილობას.

წიწაკას გააჩნია შეშუპების საწინააღმდეგო თვისება, რის შედეგადაც ის შესანიშნავად უმკლავდება ცხვირის გაჭდილობას.

მდუღარე წყალს დაუმატეთ 5 წვეთი ევკალიპტის ზეთი და ამდენივე წიწაკის ზეთი და გაიკეთეთ ინჰალაცია.

4. აწყნარებს კუნთების ტკივილს.

ვარჯიშის შემდეგ კუნთების მოდუნებაში დაგვეხმარება შავი წიწაკის ზეთი. იგი ხსნის დაჭიმულობას. აძლიერებს სისხლის ცირკულაციას.

5. აუმჯობესებს საჭმლის მონელებას.

წიწაკა აუმჯობებსებს კუჭში მარილმჟავას სეკრეციას, რაც იმას ნიშნავს, რომ აჩქარებს და აადვილებს საკვების მონელებას.

6. ასუფთავებს კანს.

შავ წიწაკას გააჩნია ბაქტერიოციდული თვისება, ახურებს კანს, ხსნის ფორებს და ხელს უწყობს მათ ღრმა დასუფთავებას. საამისოდ, იყენებენ შავი წიწაკის ზეთს.

7. რეცხვისას ქსოვილებს უნარჩუნებს მკვეთრ ფერებს.

საკმარისია რეცხვისას სარეცხის ფხვნილს დავუმატოთ 1 ჩაის კოვზი შავი წიწაკა, რათა ქსოვილებს შეუნარჩუნდეს მკვეთრი ფერები.

როგორ განიკურნა მამაკაცი ნარკომანიისაგან ფუტკრის შხამით

Medical Xpress-ით ცნობილი გახდა ერთი საინტერესო ინფორმაცია: მამაკაცმა, რომელიც სკოლის დამთავრებისთანავე მიეჩვია ნარკოტიკებს, რამდენჯერმე სცადა განკურნება. სპეციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ უშედეგოდ _ ნარკოტიკებისადმი ლტოლვა უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

ერთ დღეს, 30 წლის ნარკომანს ხელში ჩაუვარდა სტატია, რომლის ავტორიც ფუტკრის კბენას ნარკოტიკული დამოკიდებულების საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიიჩნევდა და გადაწყვიტა, მისი ზემოქმედება საკუთარ თავზე გამოეცადა. მოძებნა ველური ფუტკრების ბინა და მას შემდეგ, როცა დოზის მიღების სურვილი აღეძვრებოდა, ფუტკარს ისვამდა ტანზე. ორი წლის ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო _ ნარკომანი სრულიად განიკურნა. თანაც ახალი სპეციალობაც შეიძინა _ მეფუტკრე გახდა.

ჰა საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას ვადაგასული კოსმეტიკა

ყოველი მეხუთე ქალი დეკორატიულ კოსმეტიკას 5 და მეტ წელს ინახავს, რაც ჯანმრთელობისთვის საშიში შეიძლება აღმოჩნდეს. გამოკითხული 5000 ქალიდან 25% ტუშს ერთი წლის განმავლობაში ინახავდა, თუმცა მისი გამოყენება 3 თვეა დასაშვები. 20% სახის გამწმენდ საშუალებას მთელი წლის განმავლობაში იყენებდა, რაც ასევე დაუშვებელია. თითქმის 10% ტუჩსაცხს სამი წლის მანძილზე ხმარობდა (ვარგისია 1 წელი).

გამოკითხულთა 7%-ს, კოსმეტიკის გამო ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა. ვადაგასულ კოსმეტიკაში ბევრი პოტენციურად საშიში ბაქტერია გროვდება, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს როგორც კანის, ისე სხვა ორგანოების დაავადებები.

საფლავის პოვნის იმედიც მამის ძვლებივით დაჰკარგა

რედაქციაში გვეწვია საქართველოს შსს სამტრედიის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე ავთანდილ კაშია და ისეთი ისტორია მოგვიყვა, მსმენელი გულგრილად რომ ვერ მოუსმენს. იმ ათასობით ჭაბუკს შორის, მეორე მსოფლიო ომში რომ გაიწვიეს, სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშიდან პოლიკარპე ბარნაბის ძე კაშიაც ერია. ის ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს სამტრედიის სამხედრო კომისარიატიდან. მშრალი სტატისტიკა ასეთია: სამტრედიიდან 5000-ზე მეტი გაიწვიეს, ნახევარზე მეტი შინ არ დაბრუნებულა "ბევრი ვიყავით, ერთი სამარე თხილის გულივით გავინაწილეთ", ვინ იცის, იქნებ ასეთი ბედი ერგო პოლიკარპე კაშიასაც, მისი ძვალი და ხორციც ძმათა საფლავს შეენივთა. იგი წლების განმავლობაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა.

დედამ ღირსეულად გაზარდა 3 შვილი ობლად, მამის დაკარგვის ტკივილმა და სიცარიელემ მთელი ცხოვრება არ მოასვენა ავთანდილ კაშია. როცა ჟურნალ "თბილისელებში" ორგანიზაცია "მემორიალის" საქმიანობის შესახებ გაიგო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში დაკარგულთა და დაღუპულთა საფლავებს იძიებს, დასახმარებლად მას მიმართა. ორგანიზაცია ასევე, აღმოჩენის შემთხვევაში ეხმარება ოჯახებს ნეშტის გადმოსვენებაში.

"ჩემი გულისტკივილი ის იყო, რომ მამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ამ ორგანიზაციას "მემორიალს" იმედით აღსავსემ მივმართე, ველოდი, იქნებ მამის საფლავისთვის მიმეკვლია, მაგრამ არც ამჯერად გამიმართლა. 2 წლიანი ძებნის შემდეგ ორგანიზაციიდან მომწერეს, რომ 1944 წელს დაღუპული პოლიკარპე კაშია ყირიმის ნახევარკუნძულზე განისვენებდა. ყველა მონაცემი შევაჯერეთ და აღმოჩნდა, რომ ვინმე პოლიკარპე ბარნაბის ძე კაშია, რომელიც მამაჩემის ასაკისა გახლდათ, ბათუმის კომისარიატს გაუწვევია, მამაჩემი კი _ სამტრედიის კომისარიატმა გაიწვია. მე თავიდანვე მივაწოდე იმ პიროვნების ოჯახს ინფორმაცია და ძალიან გაუხარდათ. _ გვეუბნება ბატონი ავთო.

"როგორც დედა, ისე ძმები 64 წლის ასაკში გარდამეცვალნენ, მეშინოდა ამ ასაკთან მიახლოვებისა, მაგრამ, ღვთის წყალობით, 75 წლის გავხდი. ვიცე-პოლკოვნიკის ჩინით გავედი დამსახურებულ პენსიაზე. _ გვეუბნება ბატონი ავთანდილი და დასძენს, რომ უკვე მამის საფლავის პოვნის იმედიც მამის ძვლებივით დაჰკარგა.

ნათია ნაცვლიშვილი

ლილი კაჭარავა-გოგიტიძის გახსენება

დედი, ჩემო საყვარელო, ჩემო კეთილშობილო, სათნო, უაღრესად განათლებულო, მაღალი ინტელექტის მქონევ, ღვთისმოსავო, ჩემი შვილის აღმზრდელო, დამსახურებულო პედაგოგო, ყოველი ადამიანის მლოცველო, ჩემო დიდო მეგობარო, მუდამ ჩემსა და ჩემი ბაჩუკის გვერდით მდგომო, ჩვენო მრჩეველო დედიკო... ცრემლებში გაფრინდა უშენ-

ობის ერთი წელი... იცი? როგორ მიჭირს უშენობა... ჩვენო ძვირფასო დედი... დღეს შენს საფლავზე მოვიდნენ შენი ყველაზე ახლობელი ადამიანები, უამრავი ვარდი და სიყვარულით სავსე გული მოგიტანეს... მამა ექვთიმემ საფლავი გეკურთხა, შენ სამოთხეში ხარ შენს უფროს ქალიშვილთან მზიასთან და მეუღლესთან ერთად. ვლოცულობთ და მარად ვილოცებთ თქვენს სულებზე. პატარა ტატომ ფეხი აიდგა და ქართულადაც დაიწყო ლაპარაკი, რაც შენი ოცნება იყო. შენი საფიცარი ელიზიც ქართულად ესაუბრება, შენს საამაყო ბაჩუკის კი ახალ-ახალი წარმატებები აქვს. მე კი შენს ანდერძს გისრულებ, ალბათ, როგორ გიხარია დედი.

...მიჭირს უშენობა... გამამხნევე შენებურად... მიყვარხარ დედიკო!!!

ვულიკო გოგიტიძე

როგორ მოვიშოროთ კოღო

1. ეთერზეთები. კოღო ვერ იტანს ევკალიპტს, ფიჭვის, მიხაკისა და რეპანის არომატს. ამ მცენარეების ეთერზეთში დასველებული ბამბა მოვათავსოთ ფანჯრის რაფაზე.

2. ანწლი და პომიდორი. ოთახში კოღო არასოდეს შეგაწუხებთ, თუ გექნებათ ანწლის ახალი ტოტები ან პომიდვრის ღერო. მოათავსეთ ისინი ფანჯრის რაფაზე და მშვიდად დაიძინეთ.



3. ოთახის მცენარეები. ქოთანში გაზრდილი პიტნა შესანიშნავი საშუალებაა კოღოების დასაფრთხობად. შესაძლებელია ფანჯრის რაფაზე პიტნის ფოთლების მოთავსებაც.

4. გვირილა სწრაფად და საიმედოდ გვაშორებს კოღოებს.

5. ნიორი. ერთი კბილი ნიორი მოათავსეთ ლამბაქზე და დადეთ ყველა ოთახში. სუნი მართალია მძაფრია, მაგრამ ნიორი არა მარტო კოღოებს მოგაშორებთ, იმუნიტეტსაც აგიმაღლებთ.

ბორის კახიანი ოჯახით მწუხარებით იუწყება სიძის

სერგო შარაშენიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ბორის კახიანს სიძის

სერგო შარაშენიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს მაია კახიანს მეუღლის

სერგო შარაშენიძის

გარდაცვალების გამო.

მსოფლიოში 5 ყველაზე საზიზღარი კერძი

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში უამრავი უცნაური და შეიძლება ითქვას, ერთი დანახვით, საზიზღარი კერძები არსებობს.

ალიგატორის თავი _ ჩინეთში ნამდვილად თავზეხელაღებული ხალხი ცხოვრობს. სხვანაირად ვერ ავხსნით მათ საქციელს. ისინი ალიგატორებს თავს ესხმიან, თავებს აჭრიან და შემდეგ სუფრასთან მიაქვთ კერძის სახით. არადა, ფილმებში სხვა სურათს ვართ მიჩვეულნი, როცა ალიგატორი ესხმის თავს ადამიანს და არა _ პირიქით.

კრაზანას ორცხობილა _ ჩინელებზე ნაკლები ერი არც იაპონელები არიან. მათ გადაწყვიტეს, კრაზანას ყველა ნაკბენისთვის სამაგიერო გადაეხადათ და კრაზანას ორცხობილა მოიგონეს.

ვირთხები _ ისევ ჩინეთს მივადექით. დემოგრაფიულმა სიტუაციამ ქვეყანაში უკვე ისეთ დონეს მიაღწია, რომ ჩინელები არა მარტო ალიგატორებს, არამედ ვირთხებსაც ჭამენ. ეს კერძი, რა თქმა უნდა, ბრინჯის გარეშე არ გამოვა. ვისთვის როგორ და თავად ჩინელებს ეს კერძი ძალიან მოსწონთ.

ხვლიკები _ ისე მოხდა, რომ ყველაზე საზიზღარი კერძები ჩინეთში მრავლობს. ამჯერად, მენიუში ხვლიკები არიან. უფრო სწორედ, ხმელი ხვლიკები, რისგანაც ჩინელები სუფს ამზადებენ. გაგიკვირდებათ და ამ კერძს ჩინეთში ძირითადად ქალები მიირთმევენ. მათ სჯერათ, რომ სწორედ ეს ინგრედიენტი ეხმარებათ სახის კანის გაუმჯობესებაში.

ვირი _ ჩინელების კულინარიულ ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. ჩინეთში ვირის სასქესო ორგანოსგან 30 სახეობის კერძს ამზადებენ.

ყველაზე ძვირად ღირებული ღიმილი

დუბაიში სტომატოლოგიურმა კლინიკამ ახალი მომსახურება აამოქმედა _ "მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ღიმილი".

გრილზები (კბილების დეკორატიული შესამკობი) ოქროსგან არის დამზადებული, მათში ბრილიანტის თვლებია ჩასმული და 153 ათასი დოლარი ღირს. "ყველაზე ძვირად ღირებულ ღიმილს" სპეციალისტები დაკვეთით დაამზადებენ. უკვე ორმა კლიენტმა გამოთქვა მათი შეძენის სურვილი _ ერთი არაბი ქალბატონია, მეორე კი მამაკაცი კატარიდან.

"სტომატოლოგიური სამკაულები" რამდენიმე წლის წინ გახდა პოპულარული, განსაკუთრებით შოუბიზნესის წრეში. ოქროს გრილზებით გვინახავს მადონა, რიანა, ლედი გაგა და ბიონსე.

ვულოცავთ!

ცისანა ძოძუაშვილს!

კოლეგებისთვის საყვარელ და პატივსაცემ ქალბატონს, ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ მეისტორიეს და მეჭირნახულეს, თბილ, მზრუნველ ცისანა ძოძუაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს! დიდხანს არ მოშლოდეს "სამტრედიის მაცნეს" ცისანა დეიდა, ცისანა დეიდას კი ჩვენი სიყვარული. საუკეთესო სურვილები ასრულებოდეს მისი დიდი ოჯახის გვერდით დგომით! დღეგრძელი და ბედნიერი კიდევ დიდხანს ყოფილიყოს ჩვენი კოლექტივის უხუცესი წევრი და მეგობარი!

"სამტრედიის მაცნე"

ქალბატონ მაყვალა კანდელაკს!

ჩვენი გაზეთის ერთგულ, დიდი ხნის მეგობარს, ნიჭიერ ქალბატონს, სამტრედიის ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენელს პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს.

უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ. იხარეთ შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად, იდღეგრძელეთ!

"სამტრედიის მაცნე"

თამრიკო ნიკურაძეს!

დააბიჯებს ჩვენს ქალაქში მზიან-ღიმილიანი, დიდსულოვანი, არაჩვეულებრივი ქალბატონი, ერთგული და საყვარელი მეგობარი, თამრიკო ნიკურაძე. მთელი არსებით იხარჯება როგორც თავისი ოჯახისთვის, ასევე მოყვასისთვის თავისა.

"თქვენი ეზოს ტალავერი,
ეგ ადესა და ჩხავერი,
ო, რარიგ შემყვარებია
თქვენი ფუძის ბალავერი!"

გილოცავთ ძვირფასო თამრიკო დაბადების დღეს! სიკეთეს, ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებთ!

სიყვარულითა და პატივისცემით
შენი მეგობრები

რუსო ჩაჩუას!

გილოცავთ დაბადების დღეს! სიხარულს, სიყვარულს გისურვებთ! ჩვენი ბედნიერი ბავშვობა უბედნიერესი, დღეგრძელი მომავლით გაგრძელებულიყოს! ბავშვობის მეგობრობის სითბო ჭარმაგ მოხუცებულობამდე გაგვყოლოდეს!

ლილე და ანდრია

ჩემო საყვარელო, თვალხატულა ანგელოზო, გილოცავ დაბადების დღეს!

გამრავლდი და გაიხარე, ყველა საუკეთესო ოცნება აგხდენოდეს. მუდამ ბედნიერი მენახე შენს დიდ ოჯახთან ერთად.

მიყვარხარ ძალიან!

ანანო

რატომ ადანაშაულებს ადამიანი ყოველთვის სხვას

ადამიანის ხასიათის თავისებურება, ანუ რას უწოდებენ ფსიქოლოგები "ატრიბუციის ფუნდამენტურ შეცდომას". არსებობს ხასიათის თავისებურებანი, რომლებიც პრაქტიკულად ყველა ადამიანს აერთიანებს. მაგალითად, ადამიანი ყოველთვის ადანაშაულებს სხვას და არა სიტუაციას და პირიქით, სიტუაციას და არა საკუთარ თავს, როდესაც შემთხვევა პირადად მას ეხება!

გასაგები რომ იყოს, წარმოიდგინეთ შემთხვევა _ ელოდებით ნაცნობ ადამიანთან შეხვედრას. ის იგვიანებს პაემანზე. ამას თქვენ მისი უპასუხისმგებლობითა და მოუწესრიგებლობით ახსნით. ანალოგიურ სიტუაციაში კი საკუთარ დაგვიანებას გარემოებას მიაწერთ (სატრანსპორტო-საგზაო საცობს, რაღაც საპატიო მიზეზს და ა. შ.).

ხასიათის ამ თავისებურებას ფსიქოლოგები უწოდებენ "ატრიბუციის ფუნდამენტურ შეცდომას". ეს არის ადამიანის თვისება, ახსნას სხვათა ქცევა შინაგანი თავისებურებებით, საკუთარი კი გარეგანი ფაქტორებით. საკუთარი თავის გამართლებისათვის ადამიანები თურმე მსგავს ფრაზებს იყენებენ: "სხვა არჩევანი არ მქონდა", "ბედმა არ გამიღიმა", "ბედის ამბავი იყო", "ასე უნდა მომხდარიყო" და. ა. შ.

სამწუხაროდ, ხშირად ადამიანები ვათვითცნობიერებთ ჩვენივე უსამართლო შეფასებებსა და დასკვნებს, მაგრამ მაინც განვაგრძობთ იგივე კურსს. ეს იმიტომ, რომ ხასიათის ამ თავისებურებისადმი მიდრეკილება ჩვენ ყველას, თითოეულ ჩვენგანს დაბადებიდან მოგვყვება!

თინათინ გოგაძე

ქალბატონ ზოია ვაშაკიძეს!

შემოდგომის ფერები
რარიგ შემოგერია,
დაბადების დღეები
დაფნის გვირგვინს ელიან.
გულით გლოცავ ძვირფასო,
მეგობრობის ფერიავ,
დიდხანს, დიდხანს გვაპკურე
წრფელი სტრიქონებია.
ლექსის თქმა რომ გავბედე,
აღარ გაგკვირვებია?!

ნათელა გელეიშვილი

ქალბატონ ზოია ვაშაკიძეს!

სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს!
მრავალჟამიერ თქვენი ლექსი, ქალური სიბრძნითა და ლირიულობით ნაფერი!
თქვენეული პოეტური სტრიქონებისა არ იყოს:
"ღმერთმა მრავალი დღე გაგითენოს,
მზიანი, წყნარი..."
რეალობად გქცეოდეთ, მკითხველს ისევ და ისევ ესურვილებოდეს თქვენი ყოველი
"ახალი პწკარი _
პოეტის სუნთქვა
და გულის ფეთქვა,
სამშობლოსთვის რომ ინება ღმერთმა."
იჯანმრთელეთ, იხანგრძლივეთ, იღიმილეთ!

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა